ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი!

ოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №5-6 (9428-29) 1-31 მარტი ფასი 80 თეთრი

გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო!

ძვირფასო ქალბატონებო, მთელი გულით გილოცავთ გაზაფხულის დადგომასა და ქალთა ულამაზეს დღესასწაულებს - დედის დღესა და 8 მარტს. დედაშვილობის მადლზე აღმატებული ამქვეყნად არც არაფერია. ქართველისთვის კი ისტორიულად და მენტალურად ქალი და დედა სიწმინდის, ქვეყნის ძლიერების და ერის ჯანსაღი მომავლის სიმბოლოა.

ენერგიის ულევი წყაროს მატარებელნო, გაზაფხულივით მშვენიერნო, გულწრფელ სიხარულს, მარადიულ ბედნიერებას და წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

სიკეთეს და სიხარულს გისურვებთ!

დედაშვილობას, რომ დიდი ძალა აქვს, ყველასათვის ცნობილია. ეს ბავშვობიდან გვესმის და ამის გვჯერა დასაბუთების გარეშე. დედის ფენომენი ამოუხსნელია, მისი მონატრება, გამოხედვა, ჩაფიქრებული თვალები, რომელიც სიყვარულსა და ალერსს ერთდროულად აფრქვევენ. დედის გულს ბევრი რამის გაძლება და შეცვლა შეუძლია.

სიმბოლურია, რომ დედისა და ქალთა დღე გაზაფხულის დასაწყისშია – ერთიც და მეორეც ხომ სიცოცხლის საწყისია.

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, გაზაფხულივით ლამაზი, ფერადოვანი და სიცოცხლით სავსე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება.

კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

31 მარტი რეფერენდუმის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამადების დღე

ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით ქართველმა ხალხმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი იღწვოდა, იბრძოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, რათა ქართველ ხალხს ეცხოვრა ბედნიერ, თავისუფალ, ძლიერ საქართველოში. რეფერენდუმი ყველაზე ღირსსახსოვრი მოვლენა იყო ქვეყნის ისტორიაში.

მუნიციპალიტეტის მერიაში

პრეზენტაცია ტურისტული პოტენციალის განვითარებასთან დაკავშირებით

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში სპელეოლოგიით დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლებმა გამართეს პრეზენტაცია დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ძეგლების, განსაკუთრებით კი მდვიმეებისა და გამოქვაბულების შესწავლის მნიშვნელობაზე ქვეყანაში ტურიზმის განვითარების კუთხით. სენაკის მუნიციპალიტეტში ამ კუთხით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრეს ჯგუფის წევრებმა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გეოგრაფმა გიორგი დვალიშვილმა, ტურისტული კომპანია „ლი-ლუ კომპანის" დამფუძნებელმა ეკა კარტოზიამ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ხვალინდელი დღის" წარმომადგენელმა თამთა ჭანტურიამ. ამ ჯგუფის მიერ შესწავლილ და პოპულარიზებულ იქნა ზემო იმერეთის მდვიმეები, რომლებიც საქართველოს და ზოგადად კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს წარმოადგენენ. პრეზენტაციაზე ისაუბრეს სენაკის მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობაზე, კერძოდ, ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებთან მისასვლელი გზების მარკირებაზე, ბანერების დამზადებაზე, სპელეოლოგიური სამსახურის საფუძვლების ჩაყრასა და ამ პროფესიით დაინტერესებული ახალგაზრდების მომზადებაზე. ხაზი გაესვა ეკის მთაზე არსებული მდვიმეების სიღრმისეულ გამოკვლევასა და შესწავლას, რაც იმპულსი გახდება მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. პრეზენტაციას მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, კულტურული და საგანმამათლებლო ცენტრებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები, პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ახალი სპორტული ეკიპირება გადაეცათ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და სამშობიარო სახლის „სენამედის" დირექტორმა გია თოლორდავამ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 10 წლამდელთა საფეხბურთო გუნდის - „ქუჯის" წევრებს ახალი სპორტული ეკიპირება გადასცეს. აღსანიშნავია, რომ სპორტული ფორმები შეძენილ იქნა კლინიკა „სენამედის" დირექტორის გია თოლორდავას დაფინანსებით. მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა ქველმოქმედს, ნორჩ სპორტსმენებსა და „ქუჯის" მწვრთნელს ლევან ლატარიას წარმატებები უსურვა და გუნდს წარმატებული ასპარეზობისთვის მხარდაჭერას და საუკეთესო პირობების შექმნას შეჰპირდა.

გამოფენა „ქალი და გაზაფხული"

ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს მიეძღვნა სენაკის სამხატვრო გალერეაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მოწყობილი გამოფენა „ქალი და გაზაფხული". გამოფენაზე, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი,მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, წარმოდგენილი იყო თვითნასწავლი სენაკელი ქალბატონების შემოქმედება: ფერწერული და გრაფიკული ტილოები, აქსესუარები, გობელენი და სხვა ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ აქ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალბატონებსაც ჰონდათ წარმოდგენილი თავიანთი შემოქმედება. მუნიციპალიტეტის მერმა, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქალბატონებს მიულოცა გაზაფხულის ულამაზესი დღესასწაულები და წარმატებები უსურვა მათ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეხვედრა წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივნის მოადგილეს ნია ბურთიკაშვილს, ფილიალების განვითარების კოორდინატორს ნინო სამადალაშვილსა და წითელი ჯვრის სენაკის ფილიალის ხელმძღვანელს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს წითელი ჯვრის სენაკის ფილიალის საქმიანობების შესახებ და მომავალი ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებობებზე. ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტში არსებული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და მათთვის განსახორციელებელ ღონისძიებებს.

შეხვედრა ახალსოფლის მოსახლეობასთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებსა და საჭიროებებს გაეცნო. შეხვედრაზე გამოიკვეთა ახალსოფლის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და სპორტული მოედნის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება და მდინარე ტეხურის გასწვრივ გარკვეულ მონაკვეთებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. მოსახლეობისგან განსაკუთრებული კმაყოფილება გამოითქვა მიმდინარე გაზიფიცირების პროცესთან დაკავშირებით, რომელიც აქტიურ ფაზაშია შესული და მისი დასრულების შემდეგ ამ სიკეთით ახალსოფელში მაცხოვრებელი 460 ოჯახი ისარგებლებს. მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობას გააცნო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მიმდინარე წელს განხორციელდება როგორც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე კონკრეტულად ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ისაუბრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაზე და უპასუხა მოქალაქეთა შეკითხვებს. „თქვენი აქტიური ჩართულობა, მოქალაქეებთან უწყვეტი კომუნიკაცია ჩვენი საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენი მუშაობა თითოეული თქვენგანის ხედვებისა და წინადადების გათვალისწინებით წარიმართება" - აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა. შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგულარულ ხასიათს მიიღებს და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში წარიმართება.

გაბრძელება მეორე გვერდზე

სენაკელ ჭაბუკ ფალავანთა წარმატება

19-20 თებერვალს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ჩემპიონატს ქ. ოზურგეთის სპორტ-კომპლექსმა უმასპინძლა, სადაც საქართველოს ყველა რეგიონიდან დაახლოებით 250-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა და კიდევ ერთხელ ასახელეს სენაკი.

I ადგილის მფლობელი და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გიორგი ჩხიკვაძემ (60 კგ.წ/კ), პირველი საჯარო სკოლა.

II ადგილი დაიკავა გელა რურუამ (80კგ.წ/კ), ძვ.სენაკის საჯარო სკოლა.

III საპრიზო ადგილი ერგო ლუკა ოჩიგავას (55 კგ.წ/კ), პირველი საჯარო სკოლა. (მწვრთნელი ბატონი ამირან დავითაია).

სამივე მოჭიდავე ჩარიცხულია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ გუნდში, რაც შეეხება გიორგი ჩხიკვაძეს ის დაიცავს საქართველოს ნაკრების ღირსებას ევროპის პირველობაზე, რომელიც გაიმართება უკრაინაში მ/წ აპრილის თვეში.

გელა რურუა და ლუკა ოჩიგავა საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე.

სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის დირექცია სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს ამირან დავითაიას ულოცავს გამარჯვებას და მორიგ წარმატებებს უსურვებს მათ!

ძიუდო

მ/წლის 17-18 თებერვალს ბოლნისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მარგველიანის ხსოვნის XII –საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ჭაბუკთა შორის. სადაც წარმატებით იასპარეზეს ნორჩმა სენაკელმა ძიუდოისტებმა.

I ადგილი დაიკავა 24 კგ.წ/ალექსი გულუამ,II ადგილი -34 კგ. წ/კ დავით კიკალიშვილი, III ადგილი დაიკავა 30 კგ. წ/კ საბა ფარულავამ(მწვრთნელები: გელა ხარბედია, უჩა ჯღარკავა

ნორჩი ძიუდოისტების გამარჯვება სენაკის სასპორტო გაერთიანების კოლექტივის გამარჯვებაა. წინ დიდი გზაა ახალი მიღწევებითა და წარმატებებით.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



მ/წლის 23-25 თებერვალს თერჯოლაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უმცროს ჭაბუკებს შორის, სადაც სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა; გიორგი ჭაავამ, ბაჩო გვაძაბიამ, დიმიტრი მეფიშვილმა და ლუკა კოღუამ წარმატებით იასპარეზეს.

I ადგილი დაიკავა 68 კგ.წ/კ გიორგი ჭაავამ.

III ადგილზე გავიდნენ 35 კგ.წ/კ ბაჩო გვაძაბია,

35 კგ.წ/კ დიმიტრი მეფიშვილი

45 კგ.წ/კ ლუკა კოღუა (მწვრთნელი რ. კოკაია)

სენაკის სასპორტო გაერთიანება და სასპორტო სკოლის დირექცია და მწვრთნელთა კოლექტივი ულოცავს მათ გამარჯვებას.

თ. ხარბედია,
სენაკის სასპორტო სკოლის მენეჯერი
ი. ბაბუა,
სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი



ყურადღებით

ჩვენი ქალაქის გარეუბნებში შეხვდებით თავახდილ ჭებს, რომელთა თავსახური სავარაუდოდ ჯართის მაძიებლებმა „გააყოლეს ხელს“

სტალინის ქუჩაზე, სენაკიდან მარტვილისაკენ მიმავალ გზაზე (მარცხნივ) განთავსებული, თავახდილი ჭა სავსეა წყლით, იქვე გასწვრივ მეორე (ჭა) პოლიეთილენის ბოთლებით. წყლით სავსე ჭა უფრო საშიშია, რადგან მასში ადვილად შეიძლება ფეხი ჩაუვარდეს, როგორც მოზარდს ისე ზრდასრულ ადამიანს.

ზურაბ ფაჩულია

ადამიანს სიკეთითა და შრომისმოყვარეობით განვლილი გზა ამაღლებს და უმკვიდრებს ადგილს საზოგადოებაში.

ზურაბ ფაჩულიას სახით მეგობრებს დააკლდათ პასუხისმგებლობითა პუნქტუალურობით გამორჩეული პიროვნება. უანგაროდ გასცემდა სიკეთეს და სიყვარულს.

ზურაბ ფაჩულია დაიბადა 1945 წელს სოფ. ნოსირში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო №5 სამშენებლო ტრესტში უფროს ეკონომისტად. შემდეგ დაწინაურებულ იქნა განყოფილების გამგედ. უყვარდა დავალებების ხარისხიანად შესრულება, თვითონაც პასუხისმგებლობის მაგალითს აძლევდა თანამშრომლებს. ასევე მუშაობდა მონადირეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. თავად საუკეთესო სპორტული მონაცემები ჰქონდა, იყო სპორტის ოსტატი ტყვიით სროლაში.

ოჯახი არ შეუქმნია, დასანანია, რომ შთამომავლის გარეშე წავიდა იმქვეყნად. ბოლო წლებში მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოში“ ეკონომისტად.

უყვარდა მეგობრების წრეში ყოფნა, გამოირჩეოდა გარეგნობით. მის ყოველ მოხვრა-მოხვრაში იგრძნობოდა თვითდაჯერება, ერთგვარი სიამაყეც.

ნაადრევად წავიდა იმქვეყნად, მეგობრებს დაგვიტოვა გულისტკივილი და მონატრება.

ნათელი მის სულს

ზაირა ფაჩულია,
დამირ ბერია,
გია შალამბერიძე

შპს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ჯანჯღავას დისშვილის

ნოდარ ღვინჯილიას

გარდაცვალების გამო

დედის დღეს გილოცავ!
(ქეთინო გოცაძის ხსოვნას)

გაზაფხულის პირველი დღეები ყოველთვის განსაკუთრებულია მამაკაცებისათვის, თითოეული ჩვენთაგანი ვცდილობთ მივულოცოთ საყვარელ ქალბატონებს: დედებს, მეუღლეებს, შვილებს, დებს და მეგობარ ქალბატონებს 3 და 8 მარტი, ვცდილობთ ჩვეულებრივ სითბოსთან ერთად ყვავილების თაიგულებით, ან სხვადასხვა სუვენირებით განსაკუთრებულად ვაქციოთ მათთვის ეს დღეები, რამეთუ ისინი ხომ ჩვენი საყვარელი და სათაყვანებელი ქალბატონები არიან.

წლევანდელი ქალთა დღეები ძალიან უჩვეულო და ტკივილიანი იყო ჩემთვის, პირველად მომიწია ეს დღეები დედის საფლავზე გამეტარებინა და იმიერში გადასახლებულისთვის მიმელოცა ეს დღესასწაულები. მართალია ყვავილების თაიგულები ჩვეულებრივად შევიძინე , თუმცა ისინი მის საფლავზე დავტოვე. ჩემო ძვირფასო, მართლა ძალიან მენატრები და ძალიან მაკლიხარ.

გილოცავ დედა დედის დღეს! საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

გ. მზარელუა

შპს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რომანოზ ჯოჯუას დედის

მარგო გოგია-ჯოჯუას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები

ქალაქ სენაკში, შენგელიას ქუჩაზე, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის დავალებით, წლების განმავლობაში დაგროვილი შლამისა და ინერტული მასალისგან, ფიზიკური საშუალებებით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, მიმდინარეობს სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები. შედეგად მოიხსნება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება. სამუშაოებს ასრულებენ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო
უზრუნველყოფის სამსახური

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩაცარება იგეგმება

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა, ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი ბადრი ხურცია, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია და ახალისოფლის თემის რწმუნებული რიმა ბოჯგუა, ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ და ადგილზე დაათვალიერეს ტერიტორია, სადაც მდინარე ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე გაბიონის მოწყობა იგეგმება. ამასთანავე დაგეგმილია ახალისოფლის თემში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაბიონის მოწყობა, სტალინის ქუჩის I ჩიხის გასწვრივ, მდინარე ტეხურის დინების მარჯვენა სანაპიროზე გაბიონის მოწყობა და მდინარის გასწორხაზოვნება, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახარბედიოში მდინარე ცივზე ბეწვის ხიდის მოწყობა და ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში საბორნე გადასასვლელთან მდინარე რიონის ორივე ნაპირზე დიდი ზომის ქვებისაგან ნაპირდამცავი ბერმის და ბორანის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს სენაკის მუნიციპალიტეტიში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდება. დღეს ასევე, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, ნოსირის თემში არსებულ ვითარებას გაეცნენ.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

საკრებულოს წევრები ქალის როლსა და გენდერულ ბალანსზე საუბრობენ

ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გააქტიურება, გენდერული ბალანსის მიღწევა ადგილობრივ პოლიტიკაში დღეს აქტუალური თემაა. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი ქალთა კონტიგენტი თვლის, რომ მთავარია ადამიანებმა იგრძნონ და დაინახონ, რომ მათ სასარგებლოდ კეთდება და მომავალშიც გაკეთდება ბევრი რამ. ამაში დიდია ქალთა წვლილი. ჩვენს დასმულ კითხვებზე პასუხობენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალბატონები: ნანა ალანია, ინგა ქარდავა, ელისო ცაგურია.

დღეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა მეტი რაოდენობაა წარმოდგენილი. თქვენი აზრით, რა არის საჭირო გენდერული ბალანსის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობაში?

როგორია თქვენი დამოკიდებულება 3 და 8 მარტისადმი, დედის და ქალთა დღესასწაულებისადმი?

ნანა ალანია

დაიბადა სენაკში. დაამთავრა სენაკის 4 საშუალო სკოლა. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო უნივერსიტეტში. პროფესიით ექიმ-კარდიოლოგი. მუშაობდა სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში. 2014 წლიდან დღემდე არის სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

1. აღსანიშნავია, რომ სხვა წლების მოწვევის საკრებულოსთან შედარებით, 2017 წლის მოწვევის საკრებულოში მეტი ქალია წარმოდგენილი, რაც მისასალმებელია. ზოგადად მიმაჩნია, რომ ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკაში, როგორც ცენტრალურ დონეზე, ასევე თვითმმართველობებში.

გენდერულ თანასწორობას ორი მთავარი პრინციპი ახასიათებს – კეთილდღეობა და სამართლიანობა. სამართლიანია, თუ ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი სასტარტო პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თუ ქალები და კაცები თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, თუ თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში. თუ ეს პრინციპები დაცულია საზოგადოებაში, ის ქვეყნის კეთილდღეობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებულ, მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით სიტუაცია სულ უფრო უმჯობესდება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ეფექტური მექანიზმების დანერგვის მიზნით მოთხოვნები იზრდება.

მიუხედავად ამისა, ქართულ საზოგადოებაში დღითიდღე მწიფდება აზრი, რომ აუცილებელია გაცილებით ფართომასშტაბიანი და ეფექტური ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის, გენდერული კვოტების მექანიზმის ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს.

გენდერული კვოტა-იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული უთანასწორობის მისაღწევად, რაც ქვეყანაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ბაზისს შექმნის.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება გარკვეული დოზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობა პირდაპირ კავშირშია ქალთა უფლებების ყოველმხრივ დაცვასთან და ქვეყანაში სამართლიანობის შენარჩუნებასთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში კეთილდღეობის საწინდარია.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმი“-ს პროექტის ფარგლებში ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის საკრებულოებთან ერთად სენაკის საკრებულოში არსებობდა გენდერული საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახლდით. გენდერულ საბჭოს ჩვენს ქალაქში, განხორციელებული აქვს მნიშნელოვანი პროექტები, რაც გენდერული პოლიტიკის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯი არის. გასულ წლებში გამართული ტრენინგების, შეხვედრების, საუბრებისა და ამ საკმაოდ სენსიტიურ თემაზე სწორად მიწოდებული ინფორმაციის წყალობით, არაერთმა ადამიანმა შეიცვალა შეხედულება საქართველოში არსებული სტერეოტიპების მიმართ.

2017 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის საქმიანობის სწორედ ამ მიმართულებით აგრძელებს.

2. გაზაფხულის მესამე დღეს, 3 მარტს აღინიშნება დედის დღე და გაღვიძებული ბუნებით სიმბოლურად ვულოცავთ ამქვეყნად ყველაზე საყვარელ ადამიანს– დედას იებისა და ენძელების თაიგულით. დედისადმი მადლიერების გამოხატვის მოტივით ამ ტრადიციის არსებობა, რომელიც ყოველ წელს აღინიშნება საქართველოში, საფუძველს უდებს ამ ღირებულ და ღირსეულ პიროვნებას– დედას, კიდევ უფრო და განსაკუთრებით მოვეფეროთ ამ დღეს.

უნდა გვახსოვდეს ვინ არის დედა, რომელმაც უანგაროდ გააკეთა ბევრი რამ ჩვენთვის და პატივისცემას თუნდაც ამ სახით ნამდვილად იმსახურებს, რადგან როგორც მზე აგზავნის მზის სხივებს დედამიწაზე გასათბობად, ისე ათბობს თითოეულ შვილს დედის სიყვარული.

8 მარტი კი, ქალთა საერთაშორისო დღე საყოველთაო დღესასწაულია, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, მას საქმიანი ქალების დღედაც მოიხსენიებენ. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი აქცენტები კეთდება ამ დღესასწაულზე, თუმცა ძირითადად იგი გამოხატავს პატივისცემას, დაფასებასა და სიყვარულს ქალბატონების ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მიღწევების მიმართ, თავიდან დღესასწაული დაწესდა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, თუმცა დროთა განმავლობაში იგი სხვადასხვა ქვეყნების კულტურის ნაწილად იქცა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დედას, ყველა ქალბატონს მივულოცო გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაულები, ვუსურვო მათ გაზაფხულივით ლამაზი დღეების სიმრავლე.

ინგა ქარდავა

დაიბადა 1974 წელს ქალაქ ჯვარში, დაამთავარა ჯვარის 2 საშუალო სკოლა, პიატიგორსკის უცხო ენათა ინსტიტუტი (რუსული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა), ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

იყო არასამთავრობო ორგანიზაცი „სოლიდარობა უკანონო პატიმრები“-ს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, არასამთავრობო ორანიზაციის „ქალების კავშირი“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2014 წლიდან დღემდე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იყო ფრაქცია „თავისუფალი არჩევანი“-ს თავმჯდომარე, 2018 წლიდან არის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯომარის მოადგილე

1. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდი ხანია მიღწეულია კონსესუსი იმაზე, რომ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა ეფექტური სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი საფუძველია. უნდა შეიქმნას ისეთი ინტენსიური მექანიზმები, რომლითაც გადაილახება ყველა ის ბარიერი, რაც ხელს უშლის ქალებს პოლიტიკური პოზიციური პოზიციების მოპოვებაში მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ქალთა რაოდენობა 50%-ზე მეტია.

ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა სათანადო წარმომადგენლობისათვის აუცილებელია ხელისუფლებამ შექმნას სათანადო პირობები, რათა ქალებს გაუადვილდეთ ოჯახური და სამუშაო ცხოვრების აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებასთან კომბინირება, რაც გულისხმობს ლიდერ ქალთა გამოვლენას და მათ შემდგომ გაძლიერებას. ამ ვალდებულების შესასრულებლად კი კარგი იქნებოდა პოლიტიკურ პარტიებს ქალები წარედგინათ მერის ან საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატებად.

2. არის დღე, რომელიც მხოლოდ ქალებს ეკუთვნის. ის გაზაფხულის მოსვლას ემთხვევა და ალბათ არც ეს არის შემთხვევითი. ქალთა დღესა და დედის დღეს მარტში აღნიშნავენ გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს ჰაერში კი სიცოცხლის სურნელი ტრიალებს. ქალი, ხომ ახალი სიცოცხლის საწყისია. გაზაფხულივით მშვენიერი და თბილი, მომხიბვლელი და ნაზი, სიკეთის მთესველი, სამშობლოსა და მშვიდობაზე მლოცველი... რამდენი დედაც არსებობს ქვეყნად იმდენივეა ხასიათი, მიზანსწრაფვა, რწმენა, მაგრამ მილიონობით დედას მაინც ერთი საერთო საზრუნავი, ერთი საერთო გრძნობა აერთიანებს: შვილის უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავგანწირვა.

ყველა ქალბატონს ვულოცავ გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულებს. გაზაფხულივით ლამაზი და სიცოცხლით სავსე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. მუდამ გახარებული ყოფილიყავით თქვენი შვილების, მეუღლეების, ახლობლების კარგად ყოფნითა და წარმატებებით. ყველა თქვენგანის გვერდით ყოველთვის ყოფილიყვნენ ისეთი ადამიანები, ვინც თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას მოგცემთ, თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ცხოვრების ნებისმიერ ეპიზოდში თქვენი გულშემატკივარი იქნება.

ელისო ცაგურია

დაიბადა სენაკში 1968 წელს. დაამთავრა სენაკის 1 საშუალო სკოლა. სწავლობდა ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში - სპეციალობით ექიმი-ვეტერინარი. შ.პ.ს „აპოდიქსი“-ის (სენაკის კერძო სკოლა) - დამფუძნებელი. 2006 წლიდან შ.პ.ს „ჰელიოსი+“-ის (ღვინის ქარხანა) - გაყიდვების მენეჯერი. 2014 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჭალადიდის თემის მაჟორიტარი.

1. როგორც ცნობილია, გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და რა თქმა უნდა საკრებულოშიც. შემიძლია ვთქვა, რომ წელს წინა წლებთან შედარებით საკრებულოში ქალთა მეტი რაოდენობაა წარმოდგენილი. მართალია ბალანსი სრულად არ არის დაცული, მაგრამ ინიციატივა საკითხებზე, რომ პროპორციულ სიებში ყოველი მეორე ქალი უნდა იყოს წარმოდგენილი, ვითარების შეცვლის, მხოლოდ დადებითისკენ. ვთვლი რომ აქაც ყველაფერი უნდა ხდებოდეს პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ვფიქრობ, დადგება დრო და გვეყოლება თაობა, რომლისთვისაც გენდერული თანასწორობა ცხოვრებაში ბუნებრივი სტილი იქნება და არა განხილვის საგანი. თანაც გარანტირებული მხარდაჭერა ექნება ქალბატონებისაგან დაყენებულ ინიციატივას და ეს აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

2. რაც შეეხება 3 და 8 მარტს, ეს ორი ულმაზესი თარიღი ამშვენებს გაზაფხულის პირველ თვეს. მზესავით ნათელი და წმინდა სახელია დედა. დედა ჩემთვის წმინდა არსებაა, რომელმაც იზიარა ჩვენი სიხარული, წარმატებები, წინააღმდეგობები, გაუძლო არაერთ ტკივილს, განსაცდელს...

ყოველი ქალი, ყოველი დედა შინაგანად იტევს სიბრძნის და სიყვარულის ამოუწურავ მარაგს, მიმტევებლობის ნიჭს. 8 მარტს უფრო სხვა დატვირთვა აქვს. ის ერთნაირად ეკუთვნის ყველა ქალს, დედებს, დებს, ბებიებს, მეგობარ ქალბატონებს. მინდა ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ქალბატონს მივულოცო 3 და 8 მარტი, ვუსურვო სიხარული, წარმატებები და დღეგრძელობა.

მოამზადა მ. ბაღათურიამ

ცალანცი მკვლევრისა, სტუდენტი-ახალგაზრდობისა და მეცნიერთა სულის მჭვრეტელისა

ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ თავისი ფუძემდებლური მონოგრაფიებით ლინგვისტიკური მეცნიერებისა და მშობლიური კულტურის კლასიკოსის მარად უჭკნობი შარავანდედით შემკული სახელი მოიხვეჭა. შეიძლება ითქვას, რომ მან სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი, რომელიც საუკუნეთა მკაცრ გამოცდას გაუძლებს. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ბატონ არნოლდის მიმართ გავიმეოროთ ქართული კულტურის მუხლჩაუხრელი მკვლევრის, სწორუპოვარი ფილოლოგისა და ერუდიტი ლინგვისტის, აკად. ნ. მარის, ბრძნული გამონათქვამი: „ადამიანი კვდება ინდივიდუალურად სომატური სიკვდილით, მაგრამ არ კვდება საზოგადოებრივად; თავისი ქცევითა და შემოქმედებით ის გადადის ცოცხალთა გარემოში – საზოგადოებაში და განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება; თუ მართლაც ჭეშმარიტად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ მიემგვანებოდა მკვდარს, ცოცხალი კოლექტივი მკვდრეთით აღადგენს გარდაცვალებულთ“.

ქართული ლინგვისტიკის პატრიარქმა, ბატონმა აკაკი შანიძემ, ბრძანა: „დაუვიწყარია არნოლდ ჩიქობავას ორგანიზატორული მოღვაწეობა კავკასიური ენების შესწავლის საქმეში.

ბატონ არნოლდ ჩიქობავას მეცნიერული მოღვაწეობა ცნობილმა ლინგვისტმა, ბატონმა ბესარიონ ჯორბენაძემ, ასე შეაფასა: „არნოლდ ჩიქობავას წილად ხვდა შეექმნა მთელი ეპოქა ქართულ ენათმეცნიერებაში“.

ერთმნიშვნელობიანად ვიტყვით, რომ სამეცნიერო მუშაობა მხოლოდ რჩეულთა წილხვედრია, ბატონი არნოლდი კი რჩეულთაგან რჩეული ლინგვისტი ბრძანდებოდა, რის გამოც პროფ. ი. დეშეროვმა სწორად აღნიშნა: „არნ. ჩიქობავამ, მსოფლიო ენათმეცნიერთაგან ერთადერთმა უშესანიშნავესთაგანმა, დიდი წვლილი შეიტანა ენათმეცნიერებაში“.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოებამ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „იგი (საზოგადოება – ჟ.ს.) აღიარებს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ა. ს. ჩიქობავას დიდ დამსახურებას კავკასიის ხალხთა ენების შესწავლის დარგში და მეცნიერის იმ დიდ ღვაწლს, რომელიც დასდო ქართული ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონის გამოცემას როგორც მთავარმა რედაქტორმა“.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ბატონ არნოლდის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე ბევრი უთქმელი დაგვრჩება, მაგრამ თავს მაინც ასეთი შეგონებით ვიმხნევებთ: „ზღვის სიმლაშეში რომ დავრწმუნდეთ, საჭირო არაა მთელი ზღვის შესმა“. ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრის, ბატონ არნოლდის, მეცნიერულ მემკვიდრეობაზე წარმოვადგენთ მწირ მონაცემებს:

ბატონი არნოლდი ბრძანდებოდა ავტორი 400-ზე მეტი შრომისა, რომელთაგან 15 ცალკე წიგნად გამოიცა. დავასახელებთ რამდენიმეს: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში (თბ., 1928, 1968), ჭანურის გრამატიკული ანალიზი (თბ., 1936), ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (თბ., 1938), სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში (თბ., 1942), ზოგადი ენათმეცნიერება, ნაწ. I (თბ., 1935), ზოგადი ენათმეცნიერება, ნაწ. II, ძირითადი პრობლემები (თბ., 1945), ენათმეცნიერების შესავალი (თბ., 1952), იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია (თბ., 1965)...

ბატონ არნოლდის დასახელებულ (და სხვა) წიგნებს ლინგვისტიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება აქვს და სპეციალისტ-მკვლევართათვის მრავალმხრივ საყურადღებოა, რამეთუ: 1. მონოგრაფიები და, საერთოდ, გამოკვლევები დაწერილია სწორი მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით. გარდა ამისა, თემატიკური სტრუქტურით თითოეული მათგანი მრავალმხრივია და დამუშავებულია თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე.

2. მათში წარმოდგენილ პრინციპულ (ზოგჯერ სადავო) ენობრივ მოვლენათა ზოგად თუ კერძო ლინგვისტიკურ საფუძვლებს ვრცელი საბუთიანობა ახლავს. წარმოდგენილი იშვიათი ფორმები და სპეციფიკური ენობრივი მოვლენები დამოწმებულია მარჯვე ნიმუშებით.

3.ზოგიერთი ახალი საკითხის ენობრივი მასალებით კონსტატაციისათვის მონოგრაფიებში წარმოდგენილი ავტორის მსჯელობა თავის დანიშნულებას ამართლებს და უპასუხებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს.

ქართული ენის მორფოლოგია – სინტაქსის (განსაკუთრებით სინტაქსის) საკითხები მეტად საინტერესოდ, ვრცლად და ორიგინალურადაა გაშუქებული წიგნში – „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი დასამყარებელი არის აღიარებული მკვლევრის, ცნობილი ლინგვისტისა და მეთოდისტის, ბატონ ლ. კვაჭაძის, წიგნისა, „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ რომ ჰქვია. ამ წიგნის გამოცემამდე სინტაქსში არ მოგვეპოვებოდა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-ფილოლოგთათვის.

ქართული სტილისტიკის საკითხებია წარმოდგენილი „ენათმეცნიერების შესავალში“. შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტიკის ამ ახალი დარგის პირველი მკვლევარი ბატონი არნოლდი ბრძანდება. საგულისხმოა, რომ ცალკეულ საკითხთა დამუშავებისას ის დონე, რომელიც მკვლევარმა ამ წიგნში შემოგვთავაზა, მეტად ობიექტურად გამოიყურება, რამდენადაც პრინციპულ საკითხებზე მსჯელობისას მან კვლევის კრიტერიუმები სწორად გამოიმუშავა, რაც გამოიხატა დასაბუთების დამაჯერებლობასა და დასკვნების შეუვალობაში, ფაქტობრივს მასალათა სკრუპულოზურ ანალიზში, დასმულ საკითხთა სისტემატიზაციასა და სიახლისაკენ უპრეცედენტო სწრაფვაში. სწორედ ეს იყო საფუძველი იმისა, რომ მერმე სტილისტიკის სფეროში შესანიშნავი წიგნები გამოიცა.

ბატონ არნოლდის „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, რომელიც დაბეჭდილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ I ტომში, გვესახება მრავალჭირგამოვლილი, ათასგზის ვნებულ-ჯვარცმული და ათასჯერ ფენიქსებრ მკვდრეთით აღმდგარი ქართული ენის მორფოლოგიის კონსპექტად. აქ წარმოდგენილი ყველა ლინგვისტიკური თვალსაზრისი თუ რეკომენდაცია უეჭველად საინტერესო და ანგარიშგასაწევია, რამდენადაც, სხვას რომ თავი გავანებოთ, ეს რეკომენდაციები თუ მოსაზრებები ბიძგს აძლევენ ზოგიერთი პრობლემური საკითხის უფრო გაღრმავებულ, სრულყოფილსა და ნათელ გაგებას.

მკვლევრის მაღალმეცნიერულ დონეზე აშკარად მეტყველებს ის, რომ მან დაამუშავა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები“, რაც საფუძვლად დაედო შექმნას რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისას“, რომლის ყველა ტომის მთავარი რედაქტორი თვითონვე ბრძანდებოდა.

ბატონმა არნოლდმა შეიმუშავა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები“, ურომლისოდაც, ვფიქრობთ, გაძნელდებოდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი კრებულის გამოცემა 1970 წელს.

მკვლევარმა დიდი ამაგი დასდო ქართველურ ენათა, განსაკუთრებით ქართული დიალექტების, შესწავლას. მისი შრომები ფერეიდნულის, მთიულურის, გარეკახურის, ჭანურის, „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ და სხვათა შესახებ, შეიძლება ითქვას, დიალექტოლოგიის უბრწყინვალესი მონაპოვარია.

ბატონ არნოლდის ჭეშმარიტ მეცნიერულ კონცეფციად გვესახება ის, რომ მან, მიუხედავად შმიდტისა და ტრუბეცკოის, გ. დეეტერსისა და ა.მეიეს, ვ. გეორგიევისა და ა. რეფორმატსკის მტკიცებისა, მხარი დაუჭირა ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს, უსლარს და ბრძანა: მთის კავკასიურსა და ქართველურ (ანუ იბერიულ) ენებს შორის ნათესაობა (გენეტიკური კავშირი) დადგენილად უნდა ჩაითვალოს. დიახ, ჩაითვალა კიდევაც და ლინგვისტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრდა ცნება „იბერიულ-კავკასიური ენებისა“, რომელიც იგივეა, რაც „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი“.

გასაზიარებელია ბატონ არნოლდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იბერიულ-კავკასიური ენები წარმოშობითს კავშირში არის წინა აზიისა და შუამდინარეთის ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან).

რაოდენ აღმაფრთოვანებელია, რომ არ არსებობს ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის, ამ ენათა გენეტიკური ურთიერთობის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, მეტყველების კულტურის (კერძოდ სტილისტიკის), „ვეფხისტყაოსნის“ ენის“, ქართველურ ენათა (განსაკუთრებით ქართული ენის) დიალექტების, ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურის არც ერთი საკითხი, რომელთა შესახებ ბატონ არნოლდს თავისი ფუძემდებლური სიტყვა არ ეთქვას. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ამიერიდან მის მონოგრაფიებს ლინგვისტიკური აზროვნების ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის და თავის სამაგიდო მეგზურად გაიხდის.

ბატონ არნოლდის უპრეცედენტო ადამიანურ ღირსებასა და თავმდაბლობაზე მეტყველებს ის, რომ მან ბრძანა: „ამ სახელმძღვანელოზე (მხედველობაშია გ. ახვლედიანის „ენათ-მეცნიერების შესავალი“, 1918-1919წწ.-ში რომ დაიბეჭდა - ჟ.ს.) ქართულად ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ. მათ შორის პირველი თაობა ის იყო, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორიც ეკუთვნის“ („ზოგადი ენათმეცნიერება“, II, 1945. თბ., გვ.11). ეს გამოძახილად გვესახება მისივე ასეთი ბრძნული გამონათქვამისა: „მომდევნო თაობის ზნეობრივი ვალია წინა თაობის მიღწევა (მართალი მიღწევა!) განავითაროს (და არა იმეოროს!)“. თვითონ კი ყოველთვის დიდი მოწიწებით მოიხსენიებდა თავის მასწავლებლებს: ბატონ გ. ახვლედიანს, ბატონ ა. შანიძესა და ბატონ დ. უზნაძეს.

აკად. არნ. ჩიქობავას მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლა მომავლის საქმეა და დარწმუნებული ვართ, რომ კომპეტენტური ლინგვისტები ამ მიმართულებით ბევრ ფუძემდებლურ შრომას შემოგვთავაზებენ. ჩვენ კი ამჯერად თქმულით ვკმაყოფილდებით და, რადგანაც ამბობენ, რომ „მზე ზღვაში და წვეთში ერთნაირად აირეკლებაო“, ვფიქრობთ, ამ მოკლე ექსკურსითაც რამდენადმე მაინც წარმოვაჩინეთ ბატონ არნოლდის მეცნიერული მემკვიდრეობის ღირებულება.

ჟორა სორდია,
პროფესორი

მოგონებანი გარდასულ დღეთა

დასასრული

50-იან წლებში მე-3 სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად ბატონი ლეონიდე ცხადაია დაინიშნა. მან სენაკში ახალი მათემატიკური აზროვნება დაამკვიდრა მან დიდი, ნათელი კვალი დატოვა, რაც დიდი პიროვნებების ხვედრია.

მენჯისკენ მიმავალ გზაზე მარჯვენა მხარეს ღვინის ქარხნის თეთრი შენობა იქცევდა ყურადღებას, მარცხენა მხარეს კი – წევის ქვესადგური. ბოლოს, კურორტი მენჯი თავისი გოგირდოვანი სამკურნალო წყლებით და მდინარე ცივის თავზე წამომდგარი მენჯის მონასტრის დიდებული შენობით.

ცენტრალური გზა გაივლიდა მარცხივ მდებარე პედსასწავლებლის შენობას, პირველ სკოლას, ჩვენი დიდი მსახიობის, აკაკი ხორავას ხის ორნამენტებით მოქარგულ აივნიან ცისფერ, ლამაზ ორსართულიან სახლს, მარცხივ სამხედრო შტაბს, სამხედროებით, პოლიკლინიკის შენობებს და სოფელ შხეფის ფაბრიკასთან ჩერდებოდა.

სენაკი მარტო ლამაზი კი რა, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ჩემს მეხსიერებაში აქ ყოველთვის არსებობდა სამხედრო ბაზა, თავისი შტაბით, აეროდრომით, სამხედრო ქალაქით, სამხედრო სასადილოთი. ჩვენი ხალხი მას უბრალოდ „გარადოკად“ მოიხსენიებდა. ამ ბაზაზე ბევრ სამხედროს დაუწყია თავისი კარიერა და ცნობილი პიროვნება გამხდარა. მან დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ თავდამსხმელთა განადგურებში.

მახსოვს, ომის შემდეგ როგორ იფარებოდა ჩვენი ქალაქის ცა მოყვარული პარაშუტისტებით. მათ თვითმფრინავიდან თითოეულ გადმოხტომაში 25 მანეთს უხდიდნენ.

ცენტრალურ ბაღს ორი მიშვნელოვანი ქუჩა ესაზღვრებოდა. ერთი მათგანი მეორე სკოლის ოსართულიანი შენობიდან იწყებოდა. მოსწავლეთა სახლის შედარებით დაბალი შენობის შემდეგ ორსართულიანთა რიგი იწყებოდა, რომლის პირველ სართულებს ბატონ დავით იოსავას ფოტოატელიე და ბატონ სიმონ ნიკურაძის საათების სახელოსნო ამშვენებდა. ხალხი მათ ბატონობით მიმართავდა, უდიდეს პატივს სცემდა მათ პროფესიონალიზმს. ცენრალური გზის გადაკვეთის შემდეგ ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს – რაიკომის შენობა, მარცხენა მხარეს კი ქალაქის კინოთეატრის მოგრძო შენობა მდებარეობდა.

მეორე ქუჩაზე, ცენტრალურ ქუჩამდე ორი შენობა იქცევდა ყურადღებას: ქალაქის ბიბლიოთეკა და „სარეწაოს“ ბავშვთა ბაღი. დედა იმ პერიოდში ბიბლიოთეკაში მუშაობდა და, შეიძლება ითქვას, მათთან გავიზარდე. ომის წლებში ამ საზოგადოებამ დიდი ტკივილი განიცადა. ტუბერკულოზის სწრაფი ფორმით სულ მოკლე ხანში გარდაიცვალა სრულიად ახალგარდა, ჯეირანვით ქალბატონი, მაღალი, წარმოსადეგი ეთერი ჯოლია. ბავშვობაში განდილი ტკივილი იმდენად დიდი დარჩა, დღემდე არ გამნელებია. ნათელი ედგას მის ხსოვნას.

სენაკი ყოველთვის ცნობილი იყო თავისი წიგნიერებით. ქალაქში ორი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა – ქალაქის და საბავშვო. არასდროს დამავიწყდება ის იდეალური სიმყუდროვე, რომელსაც მისი მოამაგეები ქმიდნენ. ეს იყო წიგნის შერჩევის თუ კითხვის გარემოს შექმნის თვალსაზრისით. წიგნთან ურთიერთობის კულტურა სწორედ მათმა საქმიანობამ მასწავლა. ეს ფაქიზი, ფრიად პატივსაცემი საზოგადოება გახლდათ. სამკითხველო დარბაზში თუ ვინმე ხმას აუმაღლებდა დაშვებულზე მეტად, ფრთხილად მიუახლოვდებოდნენ და მორიდებით სთხოვდნენ ხმის დაწევას. უფრო ხშირად უთქმელად მიანიშნებდნენ სათქმელს, მკითხველს თავმოყვარეობა რომ არ შელახვოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა სენაკის კოლორიტი, პატარა ტანის, საბიბლიოთეკო საქმეზე გადაგებული ქალბატონი, რომელიც ახალსოფლის გზაზე, ხის, მასავით პატრა სახლში ცხოვრობდა განმარტოებით, ჩვენი საამაყო მოჭადრაკის, ეტიუდისტის, გია ნადარეიშვილის ორსართულიანი სახლის გვერდით. ეს ქალბატონი კოლეგების მიერ აღიარებული, პატივცემული ქალბატონი პარასკევა რუხაძე გალდათ.

რადგან სიტყვა წიგნზე ჩამოვარდა, როგორ შეიძლება არ მოვიგონო ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზია და მისი „მეუფე“ ბატონი იაკობ გარუჩავა. ბავშვებმა მას სენაკელი შიო მღვიმელი შევარქვით. პატარა ტანის, მელოტი თავით, მოძრავი პიროვნება, მისი ოჯახი ჩემი სახლისკენ მიმავალ გზაზე ჯორჯიაშვილის ქუჩზე მდებარეობდა. დღის მეორე ნახევარში სკოლიდან მომავალნი ყოველთვის ვხედავდი დაბალზე მდგარი ხის სახლის ღია აივანზე მჯდარს წიგნით ხელში. ეს გახლდათ წიგნზე ფანატიკურად შეყვარებული პიროვნება. თქვენ უნდა გენახათ „შიო მღვიმელი“ სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდში, აგვისტოს ბოლოს სასწავლო წიგნები საკმარისი არ იყო და ვიი იცის, რამდენჯერ ჩამსხვრეულა მაღაზიის ფანჯრები. ვინ იცის, რამდენი „ფუთი“ ოფლი დასდენია წურურით მის მელოტ თავს. ციბრუტივით ტრიალებდა, მაგრამ ზომიერებას არასოდეს კაგავდა. მომსახურების დიდი კულტურით გამოირჩეოდა. სწორედ რომ სამაგალითო პიროვნება იყო, მარად დაუვიწყარი.

ბაღის მიმდებარე მეორე ქუჩის მარცხენა მხარეს, ცენტრალური ქუჩის გადაკვეთის შემდეგ ყურადღებას იქცევდა ქალაქის პოლიკლინიკის ტიპური, დაბალზე მდგრი კაპიტალური შენობა, შესასვლელში რეგისტრატურით, მოსაცდელი დარბაზითა და ირგვლივ სამკურნალო კაბინეტთა ჯარით, ლაბორატორიით.

არ შეიძლება გულგრილი ვიყო იმ დიდებული მკურნალების მიმართ, ჩემს ბავშვობაში რომ მოღვაწეობდნენ სენაკში. სენაკის კოლორიტი, გინეკოლოგი, დამშვენებული ბლანქეთი და ტროსტით, ბატონი იპოლიტე ჩხეტია, ქირურგი სერგო შენგელია, პედიატრი ჯონდი კაკუბერი და მისი განუმეორებელი მეუღლე, ქალბატონი დარეჯან თაყაიშვილი-კაკუბერი, რომელიც ცენტრალურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა, ნევროპათოლოგი კოტე დარჯანია, ვია (ვიაჩესლავ) კეშელავა – ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, „სამალარიო“ სადგურის მაშინდელი ხელმძღვანელი ... ბოკუჩავა, ექიმი-გინეკოლოგი ... ბაბუნაშვილი, მთავარი ექიმი მელიტონ კანკავა, მისი მოდგილე გივი ღვინჯილია, შემდგომში კურორტ მენჯის მთავარი ექიმი. არ შეიძლება განსაკუთრებული პატივისცემით არ მოვიგონო სამედიცინო სამსახურის ფინანსისტი ბატონი... დადიანი, სადადიანო სამეაროს სამაგალითო წარმომადგენელი ყოველთვის.

ჩვენს ექიმებს თავი ღირსეულად ეჭირათ და კიდევაც ჰონდათ ამის უფლება: გამორჩეული ინდივიდუალური გარეგნობა და თვისებები. უაღრესად განათლებული საზოგადოება თითქოს განგებამ შეგნებულად მოუვლინა სენაკს.

ისინი ჩვენი ოჯახის დიდი მეგობრები იყვნენ, მამშვენებდნენ მაყრებად ქორწილში, ლანჩხუთში. გურიაში თამადობდა ბატონი გოგი ღვინჯილია. ლამაზი, წარმოსადეგი პიროვნება. ისეთი სუფრა, სადაც მეგრელი და გურული მედიკოსები ერთად ზეიმობდნენ, შეიძლება იშვიათად იხილო. თანაკურსელებმა ერთმანეთს შორის თავიანთი დიდი ხნის უნახავი თანაკურსელებიც კი იპოვეს. ბატონმა გივიმ არა მარტო მჭევრმეტყველებით, არამედ თავისი განუმეორებელი სიმღერით და მოლხენით მოხიბლა საზოგადოება. სუფრა მხოლოდ გამთენიისას დამთავრდა, ჭიშკართან გატანილი სუფრით და ყანწით, იმ ტრადიციისამბრ, რაც დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა ჩვენს ხალხს.

ქალაქის პოლიკლინიკის ეზოში მდებარე ახალაგებულ შენობაში გადასვლის შემდეგ, ძველი სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას დაეთმო. მუდამ აკურატული, მოწესრიგებული მთავარი ექიმის ქალბატონ ქეთევან (ქეთო) ბაღთურიას თაოსნობით აქ მხოლოდ სისუფთავე და დისციპლინა სუფევდა. პოლიკლინიკის ეზო ულამაზესმა ყვავილებმა დაამშვენა.

21-მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღე

ისტორია „საქართველოს გაზეთით“ იწყება

დრომ ღირებულებები გადააფასა, ჟურნალისტიკაში ახალი ხედვა და მიდგომა დამკვიდრდა. ცენტრალური მედიისგან განსხვავებით რეგიონის ჟურნალისტებს მეტი სირთულეები და წინააღმდეგობები ხვდება. ზოგჯერ რაღაც მოვლენაზე თვალის დახუჭვაც უწევს, არ არის ადვილი ყველა მოვლენისთვის შესაფერისი სახელის დარქმევა, დროის შესაფერისად წერა.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა, პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 21 მარტს გამოვიდა, მას ჯერ „საქართველოს გაზეთი” ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი” ეწოდებოდა.

საყურადღებოა რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „საქართველოს გაზეთი“-თ იწყება. საქართველოს გაზეთი იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო.

რაც შეეხება გაზეთ „კოლხეთს“, რეგიონის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ერთადერთი უძველესი გაზეთია. მისი მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1923 წლის 1 მაისს.

შეიძლება ითქვას, ამ თვალთახედვით გაზეთი „კოლხეთი“ ერთადერთი მატიანეა სენაკის, მისი გაცრეცილი,წლების გამო გაყვითლებული ფურცლები უნიკალურ ინფორმაციებს შეიცავენ წარსულისას. ჩვენი გაზეთის გამორჩეული, დამახასიათებელი ნიშნები ყოველთვის ყოფილა ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთება, დაფასება, პატივის მიგება გამრჯე, მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალებისადმი, ზრუნვა ახალგაზრდების ღირსეული აღზრდისადმი, მშობლიური სანახების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების წიაღში მიმდინარე პროცესებისადმი.

გაზეთი „კოლხეთი” ქართული ჟურნალისტიკის დღეს ულოცავს რეგიონის და სრულიად საქართველოს ჟურნალისტებს, უსურვებს შემოქმედებით წინსვლას და სიცოცხლისუნარიანობას.

მ. ეჯიბია

რაიდთერაპია

იპოთერაპია (იგივე რაიდთერაპია) — ფიზიკური, ოკუპაციური და ფსიქოლოგიური თერაპიის ფორმა, რომელშიც თერაპევტი იყენებს ცხენისთვის დამახასიათებელ მოძრაობებს, რათა მოახდინოს პაციენტის სპეციფიკური მოტორული და სენსორული შეგრძნებების პროვოცირება. თერაპიის მიზანია გაუმჯობესდეს ნევროლოგიური ფუნქციები და სენსორული პროცესები, რომლებიც შეიძლება განზოგადდეს ყოველდღიურ აქტივობათა ფართო სპექტრზე. იპოთერაპია სრულდება ცხენის ნაბიჯზე სვლისას, რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის ნაბიჯის მსგავსია. ასეთი სტანდარტული მოძრაობების გამოიყენება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ იპოთერაპიის ნეირო-ფიზიოლოგიური ეფექტის ოპტიმიზაცია.

ცხენი ადამიანის საუკეთესო აღმოჩენაა. ვინ მოთვლის,რამდენი საუკუნე გავიდა მას აქეთ,რაც ზურგზე შეასკუპდა, მოათვინიერა და მოსვენებას აღარ აძლევს. ცხენიც შეეჩვია თავის "მახრჩობელა" მეგობარს და ხვნა-თესვაში, ბრძოლაში, გლოვასა თუ სიხარულში ერთგულად ედგა გვერდით. მაგრამ ადამიანმა ესეც არ იკმარა – ამდენი რამე თუ შეუძლია, იქნებ წამლადაც გამომადგესო და...

ჰიპოკრატე გახლდათ პირველი, ვინც იმის მტკიცება დაიწყო, ცხენზე ჯდომა დაჭრილებსა და ავადმყოფები უფრო სწრაფად აჯანსაღებსო. მერე მელანქოლიკებს შეუჩნდა – რაშზე ამხედრდით და გახალისდებითო. დაკვირვებული კაცი იყო – შეამჩნია, რომ ჯირითი ადამიანს შავბნელი აზრებისგან ათავისუფლებდა და ნათელ ფიქრებს ჰგვრიდა.

არცთუ დიდი ხნის წინ ქართველებსაც გამოუჩნდათ თავიანთი ჰიპოკრატე – ბატონი დიმიტრი წვერავა. აკადემიკოსი, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი ცხენებთან ცამეტი წლიდან მეგობრობს. თავიდან ჯირითისა ისე ეშინოდა, ვარჯიშის მოლოდინში თურმე მთელი ღამე არ ეძინა, მაგრამ გამოხდა ხანი და ისეთ უშიშარ ყმაწვილად იქცა, რომ საქართველოს ნაკრებშიც კი მიიღეს. შემდეგ ბატონი დიმიტრი საქართველოს საცხენოსნო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, ახლა კი რაიდთერაპიის ფედერაციის თავმჯდომარე გახლავთ.

რამოდენიმე წლის ბატონმა დიმიტრიმ გამოსცა წიგნი იპოთერაპია(რაიტთერაპია). წიგნში მოკლედ არის გადმოცემული იპოთერაპიის ხუთი ათეული წლის კლინიკურ-ფიზიოლოგიური გამოცდილება. ნაშრომი, რომელიც პირველად გამოდის ამ სახით, მიზნად ისახავს, მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია იმ ორიგინალური მეთოდის შესახებ სადაც მკურნალობის შედეგი განპირობებულია ცხენის და ადამიანის ურთიერთობით.

ავტორი აღნიშნავს „ცხენისა და ადამიანის ურთიერთობის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის სამოციან წლებში ევროპასა და საქართველოში ერთდროულად დაიწყო.

"ამ ძიების დროს ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინეთ. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ცხენი ერთდროულად მასაჟისტი, ფსიქოლოგი და ექიმი გახლავთ. ის ისეთ თვისებებს ფლობს, რომელთაც პაციენტი ვერც ერთ მედიკამენტსა თუ მკურნალში ვერ იპოვის".

ჰიპოთერაპიას გამაოგნებელი შედეგები აქვს ისეთი დაავადებების მკურნალობისას, როგორიც არის ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, პოლიომიელიტი, სქოლიოზი, გრძნობის ორგანოების დაზიანება, მხედველობისა და სმენის დარღვევა, გაფანტული სკლეროზი, კუნთების დისტროფია, ატაქსია, შიზოფრენია, აუტიზმი, ნევროზი, გულის იშემია, პროსტატიტი...

ი. ლაკია

მოგონებანი გარდასულ დღეთა

თებერვლის ნომერში მკითხველს მივაწოდეთ ინფორმაცია სენაკელი ქალბატონის, ამჟამად ლანჩხუთში მცხოვრებ ექიმ-სტომატოლოგ ამალია ხუხუა-იმნაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ. ქალბატონი ამალია დღესაც თანამშრომლობს გაზეთ „ლანჩხუთი პლუსის” რედაქციასთან. ის გახლავთ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, სხვადასხვა დროს დაწერილ მოგონებებსა და ჟურნალისტურ ჩანაწერებში იგრძნობა ინდივიდუალიზმი და შემოქმედებით უნარი. გაზეთ „კოლხეთის” რედაქციის სახელით ვულოცავთ მას ქართული ჟურნალისტიკის დღეს და მკითხველს ვთავაზობთ მის მოგონებებს.

მოფერება

ჩემს სენაკს ლანჩხუთს ვერ დავაცილებ. ამით ვეფერები იმ უნიკალურ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ჰქვია და რომელიც მარტო მე როდი მალამაზებს.

ქალიშვილი ოჯახის ყვავილია, მალე გაფრინდება, მისი ადგილი სხვა ოჯახშიაო, – ასე ამბობს ჩვენი ხალხი და მეც გავფრინდი, დედისერთამ დავტოვე ჩემზე გადაგებული დედა მარტო, გადავსერე დიდი მდინარე რიონი და ლანჩხუთში დავიდე ბინა.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება აქ გავატარე და თუ რამ კარგი გავაკეთე ამ პერიოდში, მისი ძირფასი საზოგადოების წყალობაა, მაგრამ, რასაკვირველია, ჩემი სენაკის სიყვარულს ვერ ამოშლიდა და მეც ამ სიყვარულით და უდიდესი მონატრებით დავწერე ეს სტრიქონები. გეფერები, გეფერები, გეფერები, ჩემო მშობლიურო სამეგრელო!

მე ვეფერები ახლანდელ სენაკს. განსაკუთრებით ჩემს მიერ გაცოცხლებულ უდიდეს პიროვნებათა ნამრავლს. მჯერა, ისინიც ისეთივე ღირსეულ თვისებებს ატარებენ, როგორსაც მათი წინაპრები. სხვაგვარად შეუძლებელია.

მინდა კიდევ ერთხელ გულში ჩავიკრა ჩემი მშობლიური კოპწია ქალაქი. მოვეფერო. ვამაყობ, რომ სენაკელი ვარ! ვიცი, მის მიწას არავინ მიმაბარებს. ასე ყოფილა ჩემი ხვედრი, მაგრამ ზეციური საქართველოდან ყოველთვის სიყვარულით შევავლებ თვალს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ!

სენაკი, ჩემი მშობლიური ქალაქი

როგორც ცნობილია, თბილისის-ფოთის რკინიგზის მაგისტრალმა შვიდი კილომეტრით ჩაუარა ისტორიულად ცნობილ უძველეს სოფელს სენაკს. რკინიგზის პირას კი გაჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც ხალხმა ახალი სენაკი დაარქვა. შემდეგ ის ქალაქად ჩამოყალიბდა და სენაკი შემორჩა სახელად, სოფელი კი ძველ სენაკად იქცა.

არასდროს მსურდა ყოველთვის მადიზიანებდა, ბავშობაშიც კი, ჩემს ქალაქს სხვა სახელით რომ მოიხსენიებდნენ, რამეთუ ჩვენი ოჯახის საკუთრებაში მყოფ წიგნთა წარწერებზე, თუ ფოტოსურათებზე, მხოლოდ ეს სახელი სენაკი იყო მისი საკუთრება.

სენაკი ეკის მთის კალთებზეა შეფენილი და მდინარე ტეხურის სანაპირომდე ჩამოდის. არდადეგებზე სახლში ჩამოსული სტუდენტები, ქალაქის ახალგაზრდობა, მის ცენტრალურ ქუჩაზე სეირნობდნენ. ერთმანეთს ცოდნაში ეჯიბრებოდნენ, სიყვარულს უმტკიცებდნენ.

ჩემი დროის სენაკის მნიშვნელოვანი ნაგებობანი ერთნაირი არქიტექტურით იქცევდნენ ყურადღებას. ისინი, ძირითადად აგურით ნაგები ერთსართულიანნი, ნახევარ თუ ერთ მეტრ საყრდენებზე იყვნ შემდგარნი სამხუთსაფეხურიანი კიბით. ასეთი იყო: პოლიკლინიკის ტიპიური შენობა, ქუთაისის ქუჩის დასაწყისში მდებარე მუსიკალური სკოლის შენობა, პირველი სკოლის, პედაგოგიური სასწავლებლის, ქალაქის ბიბლიოთეკების, მოსწავლეთა თუ პიონერთა სახლის, სასამართლოს, ფოსტის, სავაჭრო ობიექტების შენობები, საცხოვრებელ სახლთა უმრავლესობა... თითქმის მთელი ქალაქი... რასაკვირველია, იყო ორსართულიანი სახლებიც. რკინიგზის სადგურთან ხის უძველესი ნაგებობა რესტორნის პირდაპირ, რომელიც დღემდე ამაყად დგას. იქვეა ფოტოგრაფების ძიკა გაბელიას და მისი ძმის კუთვნილი ბინა, შენობები მეორე სკოლის ჩაყოლებაზე ქალაქის ცენტრში...

სენაკი ლამაზი, აგურით ნაგები შენობებით გამოირჩეოდა. აგურს სოფელ ნოსირში საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა ამზადებდა ადგილობრივი თიხით. ეს ქარხანა მთელ კავშირს ამარაგებდა სამშენებლო მასალით. მენჯის მონასტერთან ხდებოდა კირქვის მოპოვება და გამოწვა საკირე ღუმელში. კირქვას „აქრობდნენ“ ორმოებში და სამშენებლოდ იყენებდნენ, მოგეხსენებათ, იმ დროს ცემენტი ჯერ კიდევ არ იყო მასიურად შემოსული. ყოველ კარგ საქმეს მეორე მხარეც აქვს: კარიერებზე კირქვის მოსაპოვებლად მუდმივი აფეთქების ხმა დიდად შემაწუხებელი იყო მოსახლეობისათვის და არა მარტო ხმა, მისი ბიძგების ძალა შენობებს ბზარავდა. შედეგად კირქვის მოპოვება შეწყდა. მან კი უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქალაქის იერსახის ჩამოყალიბებაში.

მაშინ დიდი გადაადგილებები ძირითადად რკინიგზით ხდებოდა. სენაკის რკინიგზა მთელ სამეგრელოს ემსახურებოდა ყოველთვის, რამეთუ გეოგრაფიულად მის ცენტრად ითვლებოდა. მახსოვს, როგორ აშენდა რკინიგზის სადგურის ახალი, სვეტებიანი შენობა. არც მისი ხელმძღვანელი დამსახურებული რკინიგზელი, ფრიად კოლორიტული პიროვნება, ბატონი შალვა (შალიკო) ალანია დამავიწყდება არასდროს.

სენაკის რკინიგზა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ღირებულების გახლდათ. რკინიგზელებს განსაკუთრებული მომსახურებება ჰქონდათ. მათ განკარგულებაში იყო ქუთაისის ქუჩის დასაწყისში მდებარე საავადმყოფო-პოლიკლინიკა. სხვა სამკურნალო კაბინეტებს შორის ფუნქციონირებდა სტომატოლოგიური კაბინეტი. მახსოვს, ძველი თაობის წარმომადგენელი, ჩემი კოლეგა სამოელ კეკელია, საქვეყნოდ ცნობილი სასულიერო ოჯახიდან.

სენაკში არსებობდა რკინიგზის სკოლა რკინიგზელთა ბავშვებისათვის. მათთვის დაშვებული იყო წელიწადში ერთხელ უფასო მგზავრობა ყოფილი სსრ კავშირის დიდ ქალაქებში. შთამბეჭდავი იყო სენაკის სადგურში შეჩერებული სპეციალური სამთავრობო ჩქაროსნული მატარებელი, თეთრი ფერის, ერთი ვაგონით. ხალხი მას „დიზელს“ ეძახდა. ის ყველა სადგურში არ ჩერდებოდა. სენაკს ჰქონდა ამის პატივი. „დიზელს“ მხოლოდ მთავრობის წევრები გადაჰყავდა განსაკუთრებული ნებართვით დედაქალაქ მოსკოვში, პატარა ჩემოდნით, სხვა ტვირთის გარეშე.

ქალაქის ცენტრი ბაღი იყო, რომელსაც ცენტრალური ქუჩა შუაზე ჰყოფდა, იქ ომის გმირის, მფრინავ წურწუმიას და მწერალ გიორგი ჭალადიდელის საფლავებით, რომლებიც დღემდე იქ გაისვენებენ. ბაღის ორივე ნაწილი თუჯის ორნამენტიანი ღობით იყო შემორაგული. „თენა გოხოლ პეხუშ ბოში მაფურინალ წურწუმია“ (მეგრ. – „ეს გახლავთ პეხუს ბიჭი, მფრინავი წურწუმია“) მღეროდნენ მაშინ სიამაყით და დანანებით სენაკელები.

ბაღში ფოტოგრაფები, ცნობილი პიროვნებები: დავით იოსავა, ძმები გაბელიები... ემსახურებოდნენ ჩვენს ხალხს, მშვენიერი წამის შესაჩერებლად. ბაღი მუდამ იყო ახალგაზრდათა თავშეყრის ადგილი. აქ სულ ისმოდა მათი ჟრიამული.

გზა დასავლეთით კურორტ მენჯისაკენ მიემართებოდა. პირველი, რაც ამ გზაზე გვხვდება, ეს ბაზრის ისტორიული შენობაა, თავისი თაღებით. აქ მთელი სამეგრელო ვაჭრობდა თავისი ნაწარმით, განსაკუთრებით რძიანი სულგუნით და სახაჭაპურე ყველით დამამახსოვრდა. ეს ნაგებობა ითხოვს აღდგენას. ის არ შეიძლება დაინგრეს. ის ჩვენი ქალაქის სიმბოლოდ იქცა.

ბაზრის შესასვლელში ყაზარმული ტიპის შენობა იდგა, სადაც ბამბა იპენტებოდა. ბამბის ფანტელები გარეთაც კი აღწევდნენ ფანჯრებიდან.

ბაზრის ეზოს წინა ნაწილი ყველანაირი საოჯახო ნივთებით მოვაჭრე მაღაზიებით იყო გარშემორტყმული. აქ ძირითადად, ებრაელები ფართლეულით ვაჭრობდნენ, უკანა ნაწილში კი ყველა სახის ცხოველ-ფრინველს ყიდიდნენ. ეს უნიკალური ბაზარი განსაკუთრებით ობიშხას (მეგრ. პარასკევს) და ჟაშხას (მეგრ, კვირას) ცოცხლდებოდა. ამ დღეებში ბაზრობაზე მთელი სამეგრელო იყო წარმოდგენილი, მთელი ძალით. ხალხი ყიდულობდა, ხალხი ყიდდა, იდგა დიდი აურზაური. სიცოცხლე დუღდა. ფრიად სასიამოვნო სანახავი იყო ყოველივე. სადღესასწაულო დღეებში ხომ სრული ზეიმი დგებოდა. ბაზრის წინა მოედანი შეშიანი ურმებითა და მგზავრების მომლოდინე ეტლებით იყო გადავსებული. იმ პერიოდში ავტომანქანას ცოტა თუ ფლობდა.

ბაზრის უკანა ჭიშკართან ხელოსნები იყვნენ ჩარიგებული თავიანთი სახელოსნოებით: „ჭითა ალე“, „პატარა ალე“... მაშინ ფეხსაცმელები მათი სასწაულმოქმედი გონებით და ხელებით იკერებოდა. მახსოვს თვეობით რომ ველოდებოდით მათ ნახელავს, თანაც როგორ ნახელავს! განუმეორებელს!

ხალმარჯვნივ, მენჯისკენ მიმავალ გზაზე, პირველი ჭუბაბრიების საკონდიტრო საწარმო გვხვდებოდა. მათი ნახელავი მთელ საქართველოში იყო ცნობილი, განსაკუთრებით ტორტები. სტუდენტი შვილები მშობლებს გაგზავნას დედაქალაქში სთხოვდნენ, გვენატრებაო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ბაზრის მოპირდაპირე მხარეს, ორსართულიან კაპიტალურ შენობაში გადმოვიდა ქალაქის საბჭო სრული შემადგენლობით, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

მენჯისკენ მიმავალ გზაზე, თითქოს ქალაქიდან მოშორებით იდგა ორსართულიანი შენობა. თუ კარგად მახსოვს, მაღლა ხით ნაგები, სადაც ტუბდისპანსერი იყო განთავსებული. მას პატარა ტანის, მხრებში ოდნავ მოხრილი, ცოცხალი შავთვალებიანი შესანიშნავი პიროვნება, დიდი მკურნალი და უბადლო ხელმძღვანელი ბატონი ვასილ (ვასო) შონია განაგებდა. ტუბერკულოზი, ეს ვერაგი სენი, ომის და ომისშემდგომ პერიოდში განსაკურებით მძვინვარებდა. იმ დროს ხალხი ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევასაც კი ერიდებოდა, მით უფრო, კოცნას. ბატონმა ვასომ შესანიშნავად იცოდა თითოეული ავადმყოფი არა მარტო ჩვენთან, ჩვენს ირგვლივ მყოფ რაიონებშიც. მასზე ლეგენდები დადიოდა. გთავაზობთ ერთ მათგანს: ბატონ ვასოს ესტუმრა თავპირახვეული პაციენტი, რომელიც გამოკვლევას და სახელმწიფოს მიერ დაშვებული შედავათების დანიშვნას ითხოვდა. მკურნალმა რენტგენის სურათით მაშინვე იცნო სხვის მაგივრად მოსული შენიღბული პაციენტი: „სი, შეჩვენებულ, ვარდო ვარექო?“ (მეგრ. „შე შეჩვენებულო, ვარდო არ ხარ?“) მე კი სკოლის მოსწავლეს სამუდამოდ დამამახსოვრდა მკურნალის ხალხისმიერი ეს საოცარი შეფასება და მაგალითად იქცა მომავალი მკურნალისათვის.

ტუბსავადმყოფოს მოპირდაპირედ მესამე სკოლა მდებარეობდა, რომელიც დღემდე დგას და არ ივიწყებს თავის განუმეორებელ, პატიოსნებით სავსე დირექტორს, ბატონ ვარლამ განგიას. დინჯ, გაწონასწორებულ პიროვნებას, რომელსაც შესანიშნავი ოჯახი ამშვენებდა: მეუღლე, ქალბატონი ლუბა განგია, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქალაქის ცენტრალურ საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა. იგი ქუთაისის და მოსკოვის ქუჩების გზასაყარზე მდებარეობს დღემდე.

ბაბრაძელება მეშვიდე გვერდზე

„ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული"

გაზაფხულია, მარტს შემოხვევია ტანზე კვირტები, ქალების თვეა, მათსავით დაუდგრომელი, ყინიანი, ამაყი, ლამაზი, ცვალებადი...

წელიწდეულის დღესასწაულთა შორის უკეთილშობილესი და ულამაზესია დედის დღე, საერთოდ ქალის დღე, რომელიც ჩვენში 3 და 8 მარტს აღინიშნება. იგი დედის თვალშეუდგამი სიმაღლისა და ქალის არსის სიდიადის ნათელი გამოხატულებაა. ჩვენში, ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, მანდილოსანს ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ და სცემენ. რადგანაც ქალია სამყაროს საწყისი, დედაა ერის მყობადის შემქნელი, როგორც ილია ბრძანებდა: „განდიდებულია მნიშვნელობა დედის,.. გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!"

ჩვენს სტუმარ ქალბატონებს, ექიმ-პედიატრებს იამზე ხარებავას და დარეჯან სორდიას წარდგენა არ სჭირდებათ, ალბათ ძნელად მოიძებნება სენაკში ადამიანი, რომელსაც არ დასჭირვება მათი კვალიფიციური დახმარება, ან თუნდაც უბრალო რჩევა პატარას გაზრდისას. ისინი ღირსეულად იღწვიან ოჯახშიც და საზოგადოებრივ სარბიელზეც.

პირველ რიგში გილოცავთ დედისა და ქალთა დღეებს. თქვენ უპირველესად დედა ბრძანდებით, თქვენ ხართ ლამაზი ქართული ოჯახის მესაჭე. მრავალ ათეულ წელს არ მოშლოდეს თქვენს ოჯახს და შვილებს ძლიერი მფარველობა და თანადგომა.

ჩვენს საპატიო რესპონდენტებს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

1.ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ მამაკაცებისათვის ქალების მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის სარვამარტო უნდა იყოს? უნდა გავდეს თუ არა მთელი ცხოვრება ჯვრის წერის პირველ დღეს ?

2.რა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ოჯახი თუ საყვარელი საქმიანობა?

3. დათო ტურაშვილმა თქვა: "დღეს ქალების მხრებზე დგას საქართველო და მათ მოიყვანეს აქამდეო", თუ დავუკვირდებით, ასეა. დიახ, სწორედ ჩვენმა დედებმა არ გააცივეს კერები, საკუთარ თავზე აიღეს უდიდესი ტვირთი, გვზრდიდნენ, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით, თავად იკლებდნენ ყველაფერს და ჩვენთვის იყო ყველაფერი, რაც ჰქონდათ.. თქვენ როგორ ფიქრობთ, ნამეტანი მძიმე ხომ არ არის ქალის სუსტი მხრებისთვის ეს ტვირთი, თქვენ როგორ მოახერხეთ ერთმანეთისათვის შეგეთავსებინათ დედობა, ბებიობა და სამსახურეობრივი საქმიანობა?

4.რას ურჩევთ ახალგაზრდა დედებს?

5.თქვენი აზრით, რა არის საჭირო ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციების გამოსასწორებლად?

იამზე ხარებავა

ქალბატონ იამზეს დამთავრებული აქვს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი, კლინიკური ორდინატურა პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტუტუტში, სხვადასხვა დროს მუშაობდა ფოთისა და სენაკის ბავშვთა საავადმყოფოებში. ამჟამად ქალბატონი იამზე სენაკის ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილეა სამკურნალო დარგში, ჰყავს შვილი შოთა შეროზია, შვილიშვილები მარიამ (მარიამი სტუდენტია) და თეკლა შეროზიები.

1. სასურველია, რომ მთელი ცხოვრება ჯვრის წერის პირველ დღეს ჰგავდეს, მაგრამ ყოველთვის არ არის ასე. ცხოვრება სირთულეებით და წინააღმდეგობებითაა სავსე. მთავარია ურთიერთობა დაფუძნებული იყოს სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე, მხოლოდ მაშინ იქნება ოჯახი მყარი.

2. ოჯახი ჩემთვის ყველაფერია, მის გარეშე ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ასევე მნიშვნელოვანია ჩემთვის პროფესიული საქმიანობა, რომელიც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. სიყვარული აქაც დიდ როლს თამაშობს, უნდა გიყვარდეს როგორც ოჯახი, ისე ის საქმე, რომელსაც ემსახურები.

3. ტყუილად არ უთქვამთ, ქალბატონებო თქვენ კაცობრიობის საუკეთესო ნახევარი ხართო. ქალების შთაგონებით იქმნებოდა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, უკეთესისკენ იცვლებოდა მსოფლიო. ქალი შეიძლება სუსტია, მაგრამ დედაა ძლიერი. საქართველო კი ის ქვეყანაა, სადაც ქართლის დედას ძეგლი დაუდგეს, რადგან აქ ქალი ოდითგანვე მიაჩნდათ ქვეყნის მომავლის ქვაკუთხედად, ერის გაძლიერების და აღორძინების უმთავრეს სიმბოლოდ. ჩემი აზრით, ქალს უნდა შეეძლოს დროის და შესაძლებლობის თანაბრად განაწილება, პირადად მე ვთვლი, რომ შესანიშნავად ვუთავსებ ერთმანეთს დედობას, ბებიობას და სამსახურს.

4. დედებს, პირველ რიგში, შვილების სიყვარულს ვურჩევ. როდესაც ნამდვილი, უანგარო სიყვარული არსებობს, ყველაფერი ძალიან მარტივია. მეორე რიგში – განათლებულობას. მათ უნდა იცოდნენ ბავშვის ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის ელემენტარული ნიუანსები, რომ შვილები სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღნი აღზარდონ. პედიატრები ვურჩევთ ახალგაზრდა დედებს, თვითონ გაზარდონ საკუთარი შვილი, ვინაიდან ამ ორ პიროვნებას შორის ყალიბდება ყველა შეძენილი თუ თანდაყოლილი ინსტიქტები, რომლის შედეგად ვიღებთ ფსიქოლოგიურად ჯანმრთელ შთამომავლობას.

5. აუცილებელია გაიზარდოს შობადობა და მოვიშველიებ ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს სიტყვებს: „დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის.

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლებს, ყველა სენაკელ ქალბატონს, სრულიად საქართველოში მცხოვრებ მანდილოსნებს დიდი პატივისცემით ვულოცავ დედის დღესა და 8 მარტს, დაე, გაზაფხულივით მარად მჩქეფარენი, მშვენიერნი და მხიარულნი ყოფილიყვნენ. ერთიან, ძლიერ და მშვიდობიან საქართველოში მოვუსურვებ მათ ბედნიერ ცხოვრებას, აღსავსეს შვილთა სიმრავლით, სიუხვით, სიკეთითა და სიყვარულით...

დარეჯან სორდია

ქალბატონ დარეჯანს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი. მუშაობს სენაკის ბავშვთა საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად, უბნის ექიმად, არის ბავშვთა პოლიკლინიკის ხელმძღვანელი. გავლილი აქვს კვალიფიკაცია პედიატრიის სფეროში, ოჯახის ექიმად. ჰყავს შვილი ექიმ –უროლოგი ლევან თოლორდავა, რძალი –ექიმი ნინო კარელიძე, შვილიშვილი თომა თოლორდავა.

1.ვეთანხმები მედეა ჯაფარიძის სიტყვებს, მაგრამ სამწუხაროდ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. მჯერა, რომ როცა ოჯახში არის ერთგულება, მეუღლეების სულიერი ერთობა, შეჯერებული პოზიციები, სიმყუდროვე, სითბო, სიყვარული, გვერდში დგომა, ყოველი დღე ისედაც სადღესასწაულოა.

2. ჩემთვის ორივე ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახიც და სამსახურიც. ქალმა უნდა მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება. ოჯახი არ უშლის ხელს კარიერას და სამსახურს, მთავარია, რომ გინდოდეს და გქონდეს რესურსი. ისე, ქალი პირველ რიგში უნდა იყოს კარგი დედა, კარგი მეუღლე, კარგი დიასახლისი.

3. თანამედროვე ქალები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ დაამტკიცეს, რომ ქალი არ არის მეორეხარისხოვანი მოქალაქე, რომ ქალი არც მამაკაცის ნაწილია, რომ ქართველი ქალი მეტად საინტერესო და ამავდროულად მრავალფეროვანი სუბკულტურაა, მასში შევხვდებით როგორც აქტიურ, კარიერაში წარმატებულ ქალბატონებს, ამავდროულად ისეთ ადამიანებსაც, რომელთა წარმატებაც „ოჯახის ქალის" ფუნქციის კარგად შესრულებაში გამოიხატება. ჩვენ, ქალბატონებმა უნდა დავაყენოთ საზოგადოებაში უფლებრივი თანასწორობის საკითხი, როგორც ეს გააკეთა დომენიკა ერისთავმა ერთი საუკუნის წინ. „ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული: „ჩვენ უნდა ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს .." შევუთავსო ერთმანეთს სამსახური(რა თქმა უნდა შრომატევადია), დედობა, ბებიობა, ჩემთვის არ წარმოადგენს სირთულეს. ამისთვის საჭიროა მონდომება და დროის რაციონალურად გადანაწილება.

4. პირველ რიგში ახალგაზრდებმა უნდა გაითავისონ, რომ დედობა და განსაკუთრებით კარგი დედობა საკმაოდ რთულია. დედის როლი შვილის აღზრდის პროცესში პირველ პლანზეა. ბავშვს სჭირდება დედა და, რა თქმა უნდა, საკვები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბავშვს სითბო, უსაფრთხოების შეგრძნება და სიყვარული ესაჭიროება. თუ ნაყოფი სასურველია და დედას უყვარს, ის მყარად და უსაფრთხოდ გრძნობს თავს. დედა არის მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუცვლელი. დედის რძე კი ბავშვს იცავს ინფექციური დაავადებებისგან. ხშირია შემთხვევები, როცა დედა მუშაობს, ბავშვი ძიძასთან არის. იმ შემთხვევაში თუ დედა მიდის სამსახურში, ბავშვს საერთოდ ვერ ხედავს და მასზე არ მზრუნველობს, უარყოფით შედეგებს მივიღებთ. მაგრამ, როდესაც მშობელი ბავშვისთვის დროს გამონახავს და ძიძაც და დედაც კარგად ექცევიან, პრობლემაც აღარ შეიქმნება, თუმცა სასურველია, 2 წლის ასაკამდე შვილი მაინც დედამ გაზარდოს.

5. ვფიქრობ რომ, პატრიარქის ინიციატივამ მესამე და შემდგომი შვილის მონათვლის შესახებ კარგი შედეგი გამოიღო, თუმცა ეს არ არის საკმარისი. დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორების მთავარ ფაქტორად მაინც მტკიცე მოსიყვარულე ოჯახების შექმნა მიმაჩნია. რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორიც.

მინდა საქართველოში მცხოვრებ ქალბატონებს, გაზეთ „კოლხეთის" კოლექტივს მივულოცო დედის დღე და რვა მარტი, ვუსურვო მშვიდობა, სიყვარული, ოჯახური ბედნიერება და წარმატებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვისურვებდი, რომ ძლიერი იყოს ყოველი ოჯახის დედაბოძი, ყველა ბავშვს ჰყავდეს განათლებული, კეთილი და სულიერად ლამაზი დედა.

მ.ბერბაია

ჩემი პროფესია ჩემი განუყოფელი ნაწილია

სენაკის ბავშვთა პოლიკლინიკაში არაერთი კარგი და გამოცდილი ექიმი მუშაობს. სასიამოვნოა და ამავდროულად აუცილებელიც, რომ მშობლები ვიყოთ იმედიანად, რადგან საქმე ჩვენი შვილების ჯანმრთელობას ეხება.

დღევანდელი ჩვენი ნომრის სტუმარს, ბევრი მშობლისთვის მოსიყვარულე თბილ და გამოცდილ ექიმ-პედიატრს, ქალბატონ დარეჯან კოკაიას ძალიან ბევრი იცნობს. ქალბატონმა დარეჯანმა თავისი მრავალწლიანი საექიმო მოღვაწეობის მანძილზე პატარა პაციენტების და მათი მშობლების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას:

ქალბატონო დარეჯან, გვიამბეთ თქვენი ბიოგრაფიის შესახებ?

დავიბადე ქალაქ სენაკში დავამთავრე I საშუალო სკოლა. შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც პარალელურად ვსწავლობდი საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე და ახალგაზრდა ლექტორთა სკოლაში.

გარდა ამისა კლინიკური ორდინატურა გავიარე ირაკლი ფაღავას სახელობის კათედრაზე. სწორედ ამ პერიოდში ვისწავლე ძალიან ბევრი რამ და ჩამოვყალიბდი ისეთ ექიმად, როგორიც ვარ. ეს იყო ყველაზე ბედნიერი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში.

1987 წლიდან დღემდე ვმუშაობ სენაკის ბავშვთა პოლიკლინიკაში, მყავს ძალიან კარგი კოლექტივი და ბედნიერი ვარ, რომ მაქვს სამსახური, რომელშიც ვარ კომფორტულად. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ დიდ სიყვარულს ჩემი პაციენტებისგან და მათი მშობლებისგან, მიხარია რომ ჩემს მოღვაწეობას ფუჭად არ ჩაუვლია. განსაკუთრებული განყობა მაქვს მაშინ, როცა ჩემი პაციენტების შვილები მოდიან ჩემთან, ძალიან მიხარია, ეს უკვე სულ სხვა შეგრძნებაა.

რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ექიმობა არ ყოფილა არჩევანი. ეს იყო უფრო შინაგანი მოწოდება, ვიდრე არჩევანი. ძალიან პატარა ასაკში ვიყავი, ალბათ 3 წლის, როცა საზღვარგარეთ წასულ მამას დაურეკავს სახლში და უკითხავს ჩემთვის რა გიყიდოო? მე კი მიპასუხია „შპრიცი" ალბათ უფრო ბუნებრივი იქნებოდა თოჯინა მეთქვა, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ვთქვი სხვა რამ. აქედან გამომდინარე, ჩემი პროფესია არის ჩემი არსებობის დასაწყისიდან ჩემი ორგანული, განუყოფელი ნაწილი.

რა არის უპირველესი რჩევა მკურნალობის დაწყებამდე, რასაც აძლევთ პაციენტებს და მის მშობლებს?

პირველ რიგში მშობელი უნდა იყოს დედა და აუცილებლად უნდა იყოს ყურადღებიანი. მე მშობლებს ყოველთვის ვეუბნები, რომ უპირველესი მკურნალი ბავშვისთვის არის დედა. არ არის საჭირო ზედმეტად პანიკური დამოკიდებულება, ბავშვის ავადმყოფობის პერიოდში, პირიქით ყველა დედამ უნდა გაითავისოს, რომ ეს არის აღზრდის თანმდევი პროცესი და ამას უნდა შევხვდეთ

ჩემი პროფესია ჩემი განუყოფელი ნაწილია

დასასრული

ჩვეულებრივად. ამიტომაც ყველას ვეუბნები, მაქსიმალურად მიიღეთ სიამოვნება თქვენი შვილების აღზრდის პროცესით.

თქვენი აზრით, რას უფრო აქვს დიდი მნიშვნელობა ბავშვთა ასაკში კვებას, ფიზიკურ ვარჯიშს თუ ნორმალურ ფსიქოლოგიურ კლიმატს?

რასაკვირველია კვებას და ფიზიკურ ვარჯიშს ძალიან დიდ მნიშვნელობა აქვს ბავშვის ორგანიზმის ზრდასა და ჩამოყალიბებაში, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორ გარემოში იზრდება იგი. იქ სადაც ჯანმრთელია ფსიქიკა, ყველაფერი ჯანსაღია.

ქალბატონო დარეჯან, 3 მარტი დედის დღეა, როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებაში დედის ფენომენი?

მართლაც რომ „დედა“ ეს ყველაზე დიდი ფენომენია. ეს არის ყველაზე ლამაზი და თბილი შეგრძნება, რაც კი ცხოვრებაში განმიცდია. მიუხედავად ამისა ძალიან ბევრი ტკივილი გავიარე, თუმცა ვერ ვიტყვი რომ გავიარე, რადგან ტკივილი ტკივილად დარჩა. განუმეორებელია დედის დანაკლისი, დედა ჩემს მეხსიერებაში შემორჩა, როგორც ულამაზესი ქალბატონი. ის გრძნობდა ყველა ჩემს ნაბიჯს. მე როცა სამსახურიდან შესვენებაზე მივდიოდი, ის უკვე სუფრას შლიდა და მელოდებოდა როდის შევაღებდი კარს. ეს იყო დედის გულისყური. მას უსიტყვოდ ესმოდა, ის ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა ყველა ჩემს გადადგმულ ნაბიჯს. ამავდროულად ის იყო ძალიან მკაცრი ჩვენს მიმართ. მახსოვს ერთხელ ვკითხე უკვე „დიდ ასაკში ვიყავი“ -- რატომ იყავი ასეთი მკაცრი ჩვენს მიმართ-მეთქი. მან მიპასუხა –„იმიტომ, რომ კარგი ადამიანები გამოსულიყავით“-ო. დღეს რაც ჩემს ირგვლივ არის ყველაფერი მისი შექმნილია. იგი ყოველთვის იყო არაჩვეულებრივი დედა და მეუღლე. იგი ყოველთვის იყო ოჯახის ბურჯი რათქმა უნდა მამასთან ერთად.

არ შემიძლია არ ავღნიშნო ბებია, რადგან მას დიდი წვლილი მიუძღვის ბაბუასთან ერთად ჩვენს აღზრდაში. მიუხედავად იმისა, რომ მე დავიბადე კომუნისტების ოჯახში შემიძლია ვთქვა, ბაბუა იყო ღვთის მოშიში ადამიანი. იგი იყო დიდი ჭყონიდან და როცა ცოლ-შვილი მიჰყავდა სადმე- მძღოლმა იცოდა, რომ ყოველთვის, როდესაც ტაძარს ჩაუვლიდა, უნდა გაეჩერებინა მისთვის მანქანა, ბაბუ გადმოვიდოდა ქუდს მოიხდიდა და უსიტყვოდ ჩაჯდებოდა. ერთხელ თავის შვილს უკითხავს რას ნიშნავდა ყოველივე. მას კი ასეთი პასუხი გაუცია, მეგრულად უფრო კარგად გამოითქმის, მაგრამ მე ქართულად გეტყვით „ძველი ღმერთის და ახალი ბუნების წინაშე“. გარდა ამისა ჩვენს სახლში ხშირად მოდიოდნენ მონაზვნები. დღესაც ინახება ჩემს სახლში მონაზვნების მოქსოვილი შარფი, რომელიც ბებიას მიართვეს. აი, ასეთ გარემოში გავიზარდე და ძალიან ვამაყობ ჩემი წინაპრებით.

ზოგიერთი მშობელი თავს არიდებს ბავშვის აცრას, რა რჩევა-დარიგებას მისცემდით მათ?

ეს არის შეუცვლელი რამ დედამიწაზე. არც ერთი პროცედურა, არც ერთი მედიკამენტი აცრას არ ცვლის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მშობელმა გაითავისოს და შეიგნოს ეს აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის უსაფრთხოდ განვითარებისთვის. შეუძლებელია, ნორმალური ფსიქიკის მქონე ექიმმა ბავშვს შეგნებულად რამე დაუშაოს. აქედან გამომდინარე შემიძლია თამამად ვურჩიო ყველა მშობელს, რომ დროულად აცრან თავიანთი შვილები.

გაზაფხული და განსაკუთრებით მარტის თვე ყველა ქალბატონისთვის სასიამოვნოა. რას უსურვებდით სენაკელ ქალბატონებს?

ძალიან სასიამოვნოა პირადად ჩემთვის, როცა ზამთრის სუსხიანი დღეების შემდეგ გაზაფხულის სითბოს შევიგრძნობ, ამასთან ერთად მარტი გვანებივრებს ქალბატონებს დღესასწაულებით. ყველა ქალს და დედას ვუსურვებდი, რომ ყოფილიყვნენ პირველ რიგში ლამაზები, როგორც გარეგნულად ასევე ბუნებით. მოწესრიგებულები, მზრუნველები თავიანთი ოჯახების მიმართ. მე ვთვლი, რომ ქალი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა მის ირგვლივ სიმშვიდე, სიყვარული და ურთიერთგაგებაა. სწორედ ასეთ ცხოვრებას ვუსურვებ ყველა ქალბატონს.

რედაქციის სახელით ქალბატონ დარეჯანს ვულოცავთ ქალთა დღესასწაულს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ მრავალი წელი იყოს ენერგიული, თბილი და მოსიყვარულე თავისი პატარა პაციენტების.

მარიკა მიქაბერიძე

მილოცვა

გაბრიელ შონია ახლახან მოევლინა ამქვეყნიურ სამყაროს პატარა გაბრიელი იზრდება წამიდან წამში, იცვლება, ტირის, იცინის, უხარია. იგი ალამაზებს დედიკოს და მამიკოს ლალი არახამიას და ირაკლი შონიას ყოველდღიურობას.

პატარა ვაუკაცი მოინათლა. ღვთის დალოცვა, მშობლების ლოცვა-კურთხევა სამომავლო გზებს გაუნათებს.

ვულოცავთ შონიების ოჯახს ვაჟიანობას. წარმატება, სიხარული, უფლის წყალობა, სულიერი სიმშვიდე დაბედებოდეთ.

გაზრდილიყოს გაბრიელი ჭკვიანი, ძლიერი, ქვეყნის სასახელო ვაუკაცი.

„კოლხეთელები“



ყოველდღიურმა ყოფამ მძიმე ტვირთი დააკისრა ქალის ნაზ მხრებს... შეიცვალა მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი „რაციონი“... უჭირს ქალს ცხოვრებისეულ სიძნელეებთან გამკლავება.. მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ მას, ვეცადოთ იმედიანი იყოს მისი ცხოვრების გზა, ნუ გავუნელებთ სილამაზისა და სრულყოფილების განცდას...

ანი გვილავა – ჟურნალისტური ჩანაწერები

წერილი დედამს

შენ იბადები სრულიად უმწეო, დიდი სამყაროს პირისპირ. არსებობს რაღაცები, რომელიც რეფლექსურად ხდება, ან უბრალოდ ეს საწყისია არსებობისა, გრძნობისა რომ დიდი სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გახდი. ჯერ კიდევ გაუაზრებლად შენთვის არსებობს ერთადერთი ქალი, რომლის მსგავსი ვერასდროს ვერავინ გახდება, ვერც აწყმოში და ვერც მომავალში. უბრალოდ იცი ის შენთვის სიმშვიდეა, სილაღეა, სიხარულია. იცი, თუ შენთან იქნება აგარიდებს, ყოველგვარ საფრთხეს. ეს არის ქალი, რომელთანაც ეგოისტურად მიჯაჭვული ხდები. შენ ეჭვიანობ განკუთვნილ ძილზეც კი, რომელიც დამღლელი დღის შემდეგ დაიმსახურა.რადგან მასთან ყოფნის წუთები მოგპარა. ამ დროს, კი როცა ჯერ კიდევ ვერ გავირკვევია გულის მნიშვნელობა მის მუცელთან დაიდებ ბინას, რათა ყოველი ჩასუნთქვითა და ამოსუნთქვით იჯერო გული წართმეული მცირე მონაკვეთისთვის. ის ითმენს ყველა ტკივილს, ნერვიულობასა და თეთრ ღამეებს, ჯერ კიდევ შენი მუცლად ყოფნიდან. შენ ხარ ადამიანი, რომელისთვისაც რამდენი კარიც არ უნდა დაიხუროს ცხოვრებაში, დარჩება ერთი მთავარი კარი მხოლოდ შენთვის. შენ შეიძლება გაგკიცხონ, გაგრიყონ, თუმცა ის გიღებს ყოველნაირს. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ლამაზი, ჭკვიანი, ან წარმატებული ხარ. ის იბრძვის რათა დაგეხმაროს ყველაფერში, ისიც იმიტომ, რათა შენ იყო რეალიზებული, წარმატებული, ბედნიერი. აი, როდის სწავლობ, რა არის ნამდვილი და გულწრფელი სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ნახევარს უთმობ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. არადა პასუხი დაბადებიდან ჩვენს ხელთაა.სიყვარულია, როცა შენ შენი დადებითი და უარყოფითი მხარეებით გიღებენ, როცა არათუ გკიცხავენ, არამედ გეხმარებიან გახდე უკეთესი. შენ ყველანარი სტატუსითა და მიზანსრაფვით გერქმევა შვილი და ქალს, რომელსაც უნარი შესწევს უყვარდე ასეთი, დედა. არასდროს გაიხსენოს ტკივილი, რომელიც მას დაბადებისას მიაყენე და თავისი ლუკმაც მოგაწოდოს მაძღარი თვალებით. შენც ხშირად გგონია, რომ დედები უბრალოდ , მარტივად, აკეთებენ ამ ყველაფერს შენთვის. აი, აქ კი ცდები, ამას კი დრო გიჩვენებს, გიჩვენებს, რომ დედა-შვილობაში მარტივი არაფერი არის. ეს გრძნობა გაჯერებულია სიკეთით, სიყვარულით, თანადგომით, უბრალოებით, თავგანწირვით, თითოეულ გრძნობას კი მთელ მის არსებობას უძღვნის, რომ გიყვარდეს სიცოცხლე მთელი არსებით. და როცა გაიაზრებ, ვინ არის შენთვის დედა, მაშინ გეცოდინება, რომ ეს ზღვაში წვეთია.უფრო ხშირად იფიქრებ მასზე, მის ქცევებზე. ერთხელ ყელში დიდი რგოლით მოგინდება ისე ჩაეხუტო, როგორც არასდროს. უთხრა მადლობა ყველაფრისთვის და მაშინ ხდები ყველაზე უსუსური, რადგან უმწეოს, ვინ მოგცა ფუფუნება, რომ საკადრისი მიუგო მას?დიახ, დედები გვასწავლიან, რას ნიშნავს სიკეთე, სიყვარული უანგაროდ. გასცე ისე, რომ სანაცვლოდ არ ელოდო პასუხს. ო, მართლა როგორ არ იცი, როგორი განსაკუთრებული ხარ, რადგან მთელ სხეულს, სულს, გულს, არსს გიმაგრებს გამორჩეული ქალი. შენ ხდები მისი პირველი ჭაღარისა და ნაოჭის თანაზიარი და მან როგორ არ იცის, თუ როგორ გიყვარს მისი შევერცხლილი თმები და კვლავინდებულად კეთილი თვალები, ვინაიდან, ისინი თანაზიარნი არიან შენი წარსულის, აწყმოსა და მომავლის. მათ არ სჭირდებათ გამორჩეული დღეები, ისინი ხდიან ყოველ დღეს გამორჩეულს და მაინც....

სამყარო ერთი დიდი ჯაჭვია

სამყაროში ყველაფერს თავისი სუნი, გემო და ფერი აქვს. შეიძლება იქსზე ვთქვათ, რომ იგრეკის მსგავსია, მაგრამ ის ვერასდროს ვერ იქნება ერთნი. ყველაფერს აქვს თავისი იდენტობა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით შენს მშობლიურ მხარეს ახლავს. კერამ, რომელმაც მიგიღო, აღგზარდა და გაგზარდა როგორც დამოუკიდებელი, კიდევ ერთ განსაკუთრებულ ადამიანად. როცა ერთხელ გიწევს ამ მხარეს მოშორდე, უკან მობრუნებულს შეგწევს ძალა შეითვისო ყველაფერი, ის რასაც ადრე ვერ ამჩნევდი. შეიძლება მხარე სადაც გაიზარდე არ არის მსოფლიოს საოცრებათაგან ერთ-ერთი, მაგრამ ის შენთვის საოცარია. შეიძლება სახლი სადაც გაიზარდე არ არის ცასთან ძალიან ახლოს, მაგრამ აქ განსაკუთრებით თბილია მზე. სახლები, ისინი არ არიან მხოლოდ უსულო ნაგებობები, რომელთაც თავს აფარებ. ისინი შენი სურვილების, ოცნებების, მიზნების თანაზიარნი ხდებიან. ისინი ყველაზე მეტად ამჟღავნებენ რა სუფევს ჩვენში.

სახლები ქმნიან ისტორიას, იმახსოვრებენ იმას, რაც სხვებს აღარ ახსოვთ და ხშირად მდუმარე მემატიანეებად რჩებიან. შემოგყურებენ, თითქოს შენგან ელიან, რომ მათ მოუსმენ. შენ კი ამ დროს თავს უფლებას აძლევ დიდხანს, ძალიან დიდხანს უყურო, ქმნი შენეულ ისტორიებს. მარტოსულ სახლებს და წიგნებს ერთი საერთო აქვთ, გმირების სახეებს შენ თვითონ ირჩევ. ოღონდ ეს უკანასკნელი ცოტა არ იყოს გულჩათხრობილი მოამბეა წიგნისგან განსხვავებით.

ბავშვობას თან ახლავს ინტერესი რატომ იწყენენ სახლები, რატომ ხდებიან ასეთი უფერულები. შენ უშვებ, რომ ოდესღაც აქ იყო სილაღე და ბედნიერება, მაგრამ ახლა მხოლოდ სამოწყალოდ შემოხვევია ხავსი კედლებს, რათა დამალოს სიმარტოვით განცდილი ტკივილი,მზეც კი თავს არიდებს ასეთ სახლებს, გაურბის მათ. როგორც ადამიანს სჭირდება გული სიცოცხლისთვის, ასევე სჭირდება სახლს ადამიანები. შენ კი დაივლი მშობლიურ მხარეს და ხედავ ყოველი მეორე სახლი სამუდამო სიმარტოვისთვის გაწირეს. მაშინ კი ყველაზე კარგად გესმის რა არის სიმარტოვე, სიშორე, ლოდინი, უიმედობა. შეუძლებელია არ მოგენატროს შენი სულის და ხორცის განუყრელი ნაწილი, არ შეიძლება გაწირო მარტოობისთვის. და თუ შენ ვერ ახერხებ ამ სიმარტოვის შევსებას, სხვებს მაინც უნდა მისცე უფლება ახალი სული შთაბეროს მას. სამყაროც ხომ ერთი დიდი ჯაჭვია, სადაც ყველაფერი ერთმანეთზე არის დამოკიდებული. არ შეიძლება ბედნიერების უფლება წაართვა შენს გამზრდელ მხარეს, შენს საწყისს.

იქ სადაც,ერთხელ მაინც იგრძნობოდა სიცოცხლის მაჯისცემისა, ახლა ბალახთა სიგრძე ცდილობს დამალოს სიმარტოვე.

თუ შენ დღეს, ხვალ, ერთი კვირა, ერთი წელი გადაწყვეტ,რომ მან აღარ უნდა იარსებოს. ისიც შეწყვეტს არსებობას. ამით კი ნელ-ნელა არა მხოლოდ ერთი სახლის ისტორია დასრულდება, არამედ სახლების, შეიძლებ ერთ დღეს აღარც იარსებოს კუთხემ, რომელმაც გაგზარდა, გასწავლა ცხოვრების მთავარი გზა.

ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐ–74

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘ

7 მარტი საქართველოს ეროვნული გმირის, აფხაზეთის ავტონომიური რასპუბლიკის თავდაცვისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სენაკის საამაყო შვილის - ჟიული შარტავას დაბადების დღეა. მას 74 წელი შეუსრულდებოდა.

მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან შეთანხმებით (დირექტორი ლ. უჩანეიშვილი) მუზეუმის მიერ შედგა აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესაბამისადაც საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელნძღვანელობისა და სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით კვირეულის ფარგლებში (1-7 მარტი) გატარდა ზომები მუზეუმში ექსკურსიებზე მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად მოზიდვისათვის. ჩატარდა საუბრები, ექსკურსია-გაკვეთილები, ღია გაკვეთილები, მხატვრული კომპოზიციები და ა.შ. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინეს თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 ,ჟიული შარ-

ტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლებმა და გმირის კლას-კაბინეტმა.

მუზეუმში მოსწავლეთა ორგანიზებული მოსვლით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქალაქის I, II, III, VII, ლეძაამისა და თეკლათის საჯარო სკოლები და კერძო სკოლა-ლიცეუმი.

კვირეულის ფარგლებში საგამოფენო დარბაზში უხვად იფრქვეოდა ყვავილებისა და თაფლის სანთლის სურნელი. ეკრანზე პერიოდულად ერთმანეთს ენაცვლებოდა ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომის ამსახველი მძიმე კადრები. ხშირ შემთხვევაში ცრემლი ერთვოდა დამთვალიერებელთა ამაღლებულ განწყობას.

საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებელთ მეგზაურობას უწევდნენ ნანა ფირცხალავა და ნინო თულაძე.

საჯარო ბიბილიოთეკაში მოეწყო აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და პერიოდული პრესის გამოფენა: „ჟიული შარტავა – თაობათა ღირსეული მაგალითი“

7 მარტს მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებში გაკვეთილები დაიწყო წუთიერი დუმილით.

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო მუზეუმში, სადაც თავი მოიყარეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, საკრებულოს წევრებმა, აფხაზეთიდან დევნილებმა, ჟიულის თანაკლასელებმა, კულტურის მუშაკებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე ბატონი გრიგოლ ბაღათურია.

ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს უძღვებოდა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტი ქალბატონი მარინე აბრამია. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირის ხსოვნას, მოიგონეს შარტავების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები, აფხაზეთის ომში დაღუპული თანაქალაქელები, ჟიულის თანაკლასელები – ზურაბ ჯორჯიკია და ნანა ფანცულაია, მუზეუმის დიდი მეგობრები: დიმა ჯაიანი, ნიაზ გაბესკირია და მამუკა ალანია.

ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ნანა ფირცხალავამ გაიხსენა აფხაზეთის ომში დაღუპული მარტში დაბადებული სენაკელები: გურამ გაბესკირია, გენო ადამია და ლევან ჭუბაბრია, ამასთან შეკრებილთ წარუდგინა ჟიული შარტავას განვლილი ცხოვრების ამსახველი ფოტოკოლაჟი.

დამსწრეთ სიტყვით მიმართეს ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლალი გულუამ, აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის პედაგოგმა – ნინო ფარულავამ, მეორე საჯა-



რო სკოლის X კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ – ლილიკა გვარამიამ.

ღონისძიება გაალამაზა გული კირცხალიას მიერ ჟიული შარტავას დაბადების დღისადმი მიძღვნილმა საკუთარმა ლექსმა, მერაბ ლატარიასა და ანანო ბარქაიას მიერ წაკითხულმა ლექსებმა. ჩატარებულ ღონისძიებას ფონად გასდევდა თამაზ ეჯიბიას, თემურ ცხაკაიას და ბიჭიკო თუნთიას მიერ შესრულებული საგალობლები.

თავიანთ გამოსვლაში ქართული გენის სიძლიერესა და სიმტკიცეს გაუსვეს ხაზი საზოგადოება „სენაკელის“ გამგეობის წევრმა – დამირ კუჭავამ და მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა – ვასილ ბესელიამ, რომელთაც თავიანთი გამოსვლა დაასრულეს საკუთარი ლექსების წაკითხვით.

დამსწრეთ სიტყვით მიმართეს ბატონებმა ვახტანგ ყოლბაიამ და ლევან კუპრეიშვილმა.

ღონისძიების დასასრულს მ. აბრამიამ შეკრებილთ გადასცა გულთბილი სატელეფონო შეხმიანება გმირის დის – ქალბატონ ცისანა შარტავასაგან.

მუზეუმში ჩატარებული ღონისძიებები გაჯერებული იყო ტკივილით და მომავალი გამარჯვების რწმენით. შეკრებილმა საზოგადოებამ ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას ბიუსტი ყვავილებით შეამკო. იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში მამა იოანემ ((კუპრეიშვილი) გადაიხადა მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

თეიმურაზ რეკვავა,
ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი

ᲩᲐᲠᲡᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲔᲛᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲩᲣᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ თავად გიორგი ბერის ძე ჩიჩუას. იგი კოლორიტული პიროვნება იყო, ქველმოქმედი, არაერთი საზოგადო საქმის მოთავე და მონაწილე.

“მეგრელთა ზრდილობა მეტად ნიუანსიანია. ზრდილობა გულისხმობს “ზრდას”, ზრდა ” ქცევას”- ქცევა კი თავდაჭერას. გ. ჩიჩუა ებაასებოდა გლეხებს ვითარცა თანასწორს. ამავე დროს გლეხი გრძნობდა რომ მობაასე თავადი იყო. ასეთი თავდაჭერაა ნამდვილი ნიშანწყალი სენიორის, თავადისა ” ასე იხსენებდა მას გრიგოლ რობაქიძე.

გიორგის დიდი ნათესაობა ჰყავდა აფხაზეთში, იგი დედით ანჩაბაძეთა გვარს ეკუთვნოდა.მისი ძმისშვილებიც აფხაზეთში იყვნენ გათხოვილნი.

გიორგი ჩიჩუას ერთადერთი ასული ნუცა აფხაზ ვაჟკაცს – ასტამურ ინალ-იფას შეუყვარდა. უკვე ასაკოვან გიორგის ემძიმებოდა ერთადერთი ქალიშვილის ოჯახიდან გაშვება, მაგრამ როცა თავდავიწყებით შეყვარებულმა სასიძომ ალექსანდრე და ივანე შარვაშიძეები აახლა ხელის მთხოვნელად, გატყდა, ასე უთქვამს – აფხაზ ნათესაობას თუნდაც ჩემი ნუცას გულისთვის ვერ გავანაწყენებო!

ნუცასა და ასტამურის ქორწილში, სოფელ უფალკარში, რამოდენიმე დღე რომ გრძელდებოდა „ამბობდნენ ასი ხარი დაიკლაო. პატარძლისთვის, გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად მდიდარი სულითაც რომ გამოირჩეოდა, ნეფეს ზღაპრული სამკაული მიურთმევია. ლეგენდად შემორჩა ნუცა ჩიჩუასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის უზადოდ შესრულებული ცეკვა “ქართული” და ნუცას ნამღერი რუსული და ბოშური რომანსები .

დიდხანს არ გაგრძელებულა ასტამურ ინალ-იფას ოჯახური ბედნიერება. 1924 წელს მას საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში ბათუმში იქნა მოყვანილი. ნაწამები აფხაზი ვაჟკაცის მშობლიურ ოჩამჩირეში გადმოსვენება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს საქმე ასტამურის მეგობრებმა, თავად ხელისუფლებისაგან დევნილმა, უშიშრობითა და შეუდრეკლობით ცნობილმა გუჯუჯ მარღანიამ, დავით მხეიძემ და ვარლამ ჩიქოვანმა ითავეს. ცხედარი ოჩამჩირეში უჩუმრად ჩამოასვენეს და საგვარეულო ძვალთშესალაგს მიაბარეს, ხელისუფებისთვის ასტამურის საფლავის ადგილი უცნობი დარჩა.

1924 წლის შემოდგომა, სოფელი შხეფი, შუადამე, ბოლშევიკთაგან საკუთარი სახლიდან გამოსახლებულ და დის ოჯახს შეხიზნულ გიორგი ჩიჩუას სადამსჯელო რაზმმა მიაკითხა და გარეთ გამოიხმო. გიორგიმ იცოდა რაც ელოდა. 86 წლის მოხუცმა დინჯად დაიწყო ჩაცმა. რაზმელები აჩქარებდნენ: რაში გჭირდება ეგ ჩოხა, უამისოდაც დაიხვრიტებიო. ღირსებით აღსავსე ბრძენკაცმა თავშეკავებული პასუხი გასცა: “ახალგაზრდებო, მამაკაცი სიკვდილსაც ლამაზად უნდა შეხვდეს!” და მშვიდად განაგრძო ღილ-კილოების შეკვრა.

იმავე წელს აფხაზეთის იძულებით დატოვების წინ, მგლოვიარე ნუცა ჩიჩუამ მეუღლის ნაჩუქარი სამკაული შავი ზღვის ტალღებს მიანდო ”

ნ. ჩიჩუას არქივიდან



ᲜᲣᲪᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲢᲐᲛᲣᲠᲘ

ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ...

უცხვირპირობა რადგან სენია,
შენ არ გჭირდება რადგან ცხვირპირი,
იქ სადაც მკვდარი, რო ასვენია-
ცოცხალი ხარ და ამას მივსტირი...

ჩამოიქროლებს როცა ნიავი -
მოლზე მუხლამდე ყრია ქლიავი ...

-როცა გაზაფხულს შვენის იები,
და ნაადრევზე ხარობს ენძელა,
ვინ გადმოლახა შენსკენ მთიები?!
შენ ვინც გაქო და ვინც გადღეგრძელა!!

... უცხვირპირობა რადგან სენია -
ცოტა სხვაფერად ასახსნელია,
ნუთუ სუყველგან შენ უნდა შეძვრე?!
სადაც სორია, სადაც ხვრელია,-
როცა სავსე აქვს პირუტყვს ჯიქანი,
და როცა იცი მოსაწველია –
და როცა ესეც ასახსნელია,
შენს გვერდით ყოფნა ცოტა არ იყოს,
ცოტა არ იყოს მართლა ძნელია...
იყავი უფრო მშვიდად ვიდრე ხარ,
და იქნები უფრო მშვიდად ვიდრე იყავი...

არ ხატოვანთა, ბარ-ხატოვანთა,
ცხო უპოვართა, ყრმათა მხცოვანთა,
ბარხატოვანთა, ბაგრატოვანთა,
დიდგვაროვანთა არ თუ ღმრთოვანთა,
არ ანგელოზთა გარნა ფრთოვანთა,
არათუ მწყურვალთა არ ხვატოვანთა
სწორ-სახოვანთა გარნა მრგვლოვანთა,
არ უგუნურთა არ თუ ბრძნოვანთა...
ავთა ყიათა, ყვავთა მსტოვართა...
უფლისა ყმათა,
თაბორის მთათა...
არ თუ ზეცითა, არ თუ ქვე ცითა,
რაი დაჰკარგე? რა გაგეცვითა?!
ველთა სირბილი, გზათა კეცვითა...
წყალობა სურინ გარნა ცეცხლითა...
ართუ ბოჭვითა ოქრო-ვერცხლითა,-

კაცთა მოკვდავთა, სამაროვანთა,
ხალისიანთა გარნა მგლოვართა...
სულთა ცხოვნითა,
უფლის პოვნითა-
გზა მაცხოვართან!
გზა მაცხოვართან!

ჯამბულ ჭანტურია